

ლიტერატურული კანკეტი

№21 (157) 13 - 26 ნოემბერი 2015

გამოდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 80 თეთრი

ტარიელ ჭანტურია

30 პილესი

ქავები

ოცდაათით თუ ოცდათხუთმეტი წლის წინათ დავწერე დოკუმენტური პოემა „ძმები“. იგი ეხებოდა ორ ძმას — აბელივით ძმებს! — დიდ ქართველ კომპოზიტორს ანდრია ბალანჩივაძესა და დიდ ამერიკელ ბალეტმაისტერს ჯორჯ ბალანჩინს.

მაშინ მე საჭიროდ არ ჩამითვლია ბიბლიური ძმების — აბელისა და კაენის ხსენება! — მე ორ აბელთან მქონდა საქმე!

ახლა ხშირია — საერთოდაა ხშირი — ძმებში კაენის გამოჩენა!

თქვენც გაიხსენეთ ძმები, ბარემ იმაზეც იფიქრეთ, რომელი — აბელია მათში და რომელი — კაენი!

სხვათა შორის, ეს ტარიელ ჭანტურიას „ძმის კომპლექსი“ — აბელობა და კაენობა — დებსაც ეხებათ: დებშიც ხშირია კაენი და...

ის კაენი დებიც გაიხსენეთ!

სამწუხაროდ, მე ძმა არ მომცა ღმერთმა! უბედური ვიქენებოდი ან საერთოდ ვერ ვიქენებოდი, კაენი ძმა რომ მყოლოდა!

და ორი მაჩუქა უფალმა: ან გარდაცვლილი უფროსი და ლამარა — აბელისნაირი და, და უმცროსი და ნანი — ისიც აბელისნაირი! ყოფილი მოცეკვავე. ანსამბლ ერისონში ცეკვავდა ადრე, სანამ ანსამბლს ერისონს დაარქმევდნენ!

ნანი — ქალი აბელი!

გამორიცხული არაა, ამ ჩანაწერმა მეტისმეტად გააღიზიანოს კაენი ძმები!

სამწუხაროდ, მათი რიცხვი არც ისე მცირეა, როგორც ეს სასურველია...

ენყინოთ, რა ვქნა! საქმე ჩემს მოკვლამდე ალბათ ვერ მივა! ლანძლვას რაც შეეხება, ბრიყვებიდან ლანძლვა-გინებას შეჩვეული ვარ — პასკვილანტების წყალობით იმუნიტეტი გამომუშავებული მაქვს.

II-III

გივი ალხაზიშვილი

ვერ ვიფიქრებდი, ჩემი ფინიში თუ იქნებოდა სწრაფი სტარტივით, მე ვიყავ ქარი და შენ მიმიშვი, გზის ფანტასტიკით და სიმარტივით.

სიმარტივეში სუნთქვას ვგულისხმობ, მფრინავ თემებს რომ გაშლის ტაქტებად, შემოიჭრეა შინ გუგულისხმა და შეგვახსენებს, რომ დრო არ კვდება.

გადასხვაფერდა ჩვენში სულდგმული თავის მღვიმეში გამომწყვდეული და საიდუმლო, თითქმის სულ თქმული არის გამხელის გამო წყეული.

და სამეგობრო ისე მეჩერი, ძველი ნაცნობიც თითქმის გამქრალა და უთქმელობას გულში გაჩერილს კუდს უთამაშებს ბოლოქანქარა.

მე ვგავარ ჩემგან გადასახლებულს, სულ სხვაში, სადღაც სულს რომ მიათრევს და ყოფას უცხოს, ძალად ახლებურს, არც ცოდვა ახსოვს, აღარც სიმარტლე.

VIII-IX



ახარეობი

პერიფერიის მყუდრო ნაპირი...
და აიეტის უმცროსი ქალი...
თაღი სპარსული,
ზოგან ამპირი, —
ელინთა შემდეგ რუსეთის კვალი.

დგას მოლოდინი, რომ მოვა გემი,
განათებული და დიდზე დიდი
და იაფეტი,
ქამი და
სემი
გაგვიყოლებენ კიდიდან კიდით.

ფრიალებს ნატვრა, —
ჰყავდეთ ლობისტი
და თან მფარველი ერთობ საშიში,
ყველა სწორისტვის, ისე ცნობისტვის,
დიდი გემიდან მოჩანს აშშ.

ლიტ. აგენტი და თანაც ჰაშიში
ევროპელობის არის ნიშანი,
...წყალს მიაქეს ვწება, ძალით აშიში-
ნებული. გვრჩება მარტო ქვიშანი.

ოცნების გემი, მოხდით ბოდიშის,
მოაჯირიდან შენი აიგნის
თვალს ვერ შეასწრებ,
ხანგრძლივ ლოდინში,
როგორც ცხოვრება, ისე ჩაივლის.

და ამ ოცნებას ეკრანი აპი-
არებს. მე ვლოცავ ვისკით ორმაგით
იმ გემს, რომელიც დაეძებს ნაპირს
და ებრძის ტალღებს
„მთვრალი ხომალდი“.

აქ კი ელიან... დიდ გემს ელიან...
როგორც ტრიადას, ხსნას და მესიას,
— მაცხოვარია?..
— არა, ელია...
— იქნებ პირადად ლეო მესია?..

...და ვიდრე წყალზე
ნაფეხურს ნაშლის
ლიბერალიზმის მაცნე ენამზე,
თუმცა ლექსია კიდობნის საშვი,
მყუდრო ნაპირის
ნარღვნის სპექტაკლზე,

აქაურს მაინც არა აქვს ფასი,
აქაური ხომ სხვათამორისობს...
იალქანს კვალით იცნობენ მაშინ,
მიეფარება როცა პორიზონტი.

სიკვდილი სოლოლაკში
პაოლო

ეს ფილმი არის მზეზე და ზღვაზე,
მთავარი გმირი არის სინათლე.
ევროპა, —
სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე
ავადმყოფ სხეულს მძიმედ მიათერესა.

...და რადგან რომა შთანთქა ათენი,
როგორც შპენგლერი მიიჩნევს ამას,
სულ რომ არ გაწყდეს
ნერვის სადენი,
იესო ჯვრიდან ახედავს მამას.

...უფიცის კარი
ძელი გალერის
და ვინჩის ოქროს ანგელოსს იცავს...
და სიმფონია გუსტავ მალერის
ვენეციაში დაეძებს მინას.

გატეხილია პანდორას ყუთი,
ყარს ვენეცია,
მაგრამ პიეტას
სწამის სიმფონია ნომერი 5.
ნაწილი 4. ადაუიეტო.

და შავი გედის ნიჩბიან ჟერმესას
გადაჰყავს არხზე
მგზავრი ჰადესის,
სადაც ქვესკელის მხურვალე თერმებს
ვერ სწვდებათ სხივი უდიადესი.

და ჩასაძირად განწირულ ქალაქს
თუე მოუვლენს

დათო მალრაძე

ღმერთი ანგელოსას,
არავინ მისცემს ანგელოს სალამს,
არკონადები რომ აკანკელოს.

მილანის ჟერცოგ ლუკინოს კინომ
ფრესკით მოსტაცა მწყობრი რაციოს...
თუ ხუმრობაა,
იქნებ ტაციოს
დედა მეც ვინმემ მომატაციოს...

ცუდი ჰაერი —
Mala aria...
ტყვიისფერ ცაზე მალე თრიონს
ვერ ნახავ. ისმის... თუ მალერია,
შველის ქოლერას და მალარიას.

ჰქონდა აშენბახს განცდა ათენის
და რომც სწორი გზით იარო, სალი
კლდეების ქიმზე,
ჭირს ვერ განდევნი,
თუ გამოტოვებ იერუსალიმს.

...აქ, სოლოლაკში პოეტ იაშვილს
უბრძანეს:
— ძირს!
და
შეუყვა მალლობს,
ის, რაც დაკარგეს ვენეციაში,
ჩვენკენ გადარჩა, ბეთლემთან ახლოს.



ქოლება

ქვემოთ მიპყვება ქოლება ტროტუარს,
მაღალ ქუსლებზე შემდგარი ქოლება
და პაემანის
გზა და დრო თუა,
გავუშლი მკლავებს ღრუბლიან ონკანს.

სასიამოვნოდ სველდება ქუჩა,
ახლავას სურნელი ჯერ ხელუხლები
და ქუჩას ჩემი სურვილი უჩანს,
როგორც ამ ქოლებას

თეთრი მუხლები.
გადავარცხილი უკან შავი თმა
და შუბლსზემოდან მუქი სათვალე...
და რითმა მის თმას
თუ გაერითმა
და დადენილი წვეთი დავთვალე.

უნდა აღვწერო ნისლიან ქუჩის
ჭირი და ლხნი, თუ გავერკვიე,
დაგნერ სტრიქონებს პოეტის ფუნჯით,
როგორც საკუთარ
ხსნას და რეკვიემს.

შემოვლილია უცხო მთა-ბარი,
საითაც ბედმა გადამაქანა...
და მსურს ქოლგის ქვეშ თავშესაფარი,
ვუსმინო წვემის
საბეჭდ მანქანას.

რომ წვემამ
ჩემი კარნახით წეროს,
პატარა ქუჩის დიდი ამბავი,
ვინ ესალბუნა ფრთანატენ წეროს,
არ დარჩეს გვალვას დაუსტამბავი.

ვასწავლი, როგორ დაიძრას მალლა,
კვლავ მისწვდეს
ნაგაეს და პაპიროსებას,
ქოლგის მუხლებთან დამსხვრეულ ტალღას,
წვიმით მოწყენილ სანაპიროზე.

როგორც რომ ელვის შემდეგ იწვიმებს,
ასევე მოსდევს ხოლმე
შარი
შურს,
ვიღაცის გულზე მოაქეს სიმძიმე,
შენს გვერდში სველი კაბის შარიშურს.

და თუნდაც წვიმამ შეცვალოს რიტმი,
გადაიფაროს სამბა რუმბათი,
მე ვუერთაგულებ ამ უბნის ინტიმს,
ოღონდ ამ ქოლგის
მედგას გუმბათი.

ამ გუმბათის ქვეშ აღვავლენ ლოცვას
წვიმის წყალს, როგორც ნაკურთხს შევეთა-
მაშები, იდაყეს ჩამოვდებ როცა
პარმენის დახლის საკურთხეველთან.

მიპქრიან ჩვენი მძიმე
წლები და, —
ციდან მინამდე ვარდნის მარშრუტით...
— მთამსვლელი მოვწყდე მწვერვალებიდან,
ოღონდ ამ ქოლგის
მხსნელ პარაშუტით.

...ამ ოცნებებში წამილო ქუჩამ,
წვიმის სურნელით
ჯერ ხელუხლებით,
რომელსაც ჩემი სურვილი უჩანს,
როგორც ამ ქოლგას თეთრი მუხლები.

წვიმს და ვეხები
სავსე მერდს მკერდით
და ვთლი სალამურს ლერწმის ღეროდან,
...შენ, დიდი ქვეყნის შვილივით წერდი,
რადგან ამ ვინრო ქუჩის გჯეროდა.

AGLIO. OLIO. POMODORO.
ნეორეალიზმი იტალიურად

რომის ნაშალი. არსად ეგზოტი.
ჩანს იტალია ხიბლით და წუნით,
ხმაურიანი ვინრო ეზოთი,
პომიდორით,
ნივრით
და ზეითუნით.

— ჩეარა, კაბები დავიკემსოთ-ი
და აივნების გადაძახილით
შემოდის დილა,
როგორც მეზობლის
მოხუცი ბიძა, შარვალჩახდილი.

პოლიტიკოსი კადრში ქადაგებს,
უმუშევრობას მოსპონს ძალიან
მალე და
ხედავ, რომ სილატაკეს
პაემანისთვის მაინც სცალია.

ქალაქი

უსიამოვნოდ ხვდებიან წვიმას,
ფანჯრიდან უკან კრიფავენ ზენტრებს...
და შენს ნაწერშიც ეძებენ იმას,
რისი დანახვის უნარიც შესწევთ.

პროვინცია

სიამაყით რომ გახედონ მაღლობს
ჭირისუფლებმა,
ლირსებას ვფიცავ,
შენ უნდა მოკვდე, რომ შენთან ახლოს
განათეს ცა და გაძვირდეს მინა.

გავლენაში
ბექა ქურთულის
„მკვლელის“ წაკითხვის შემდეგ

თოვლი წამოვიდა, ბინდია,
დაფარა მთები და ველები,
მოვევებით?! ფეხებზე გვეიდია! —
ბოდავენ თვითმკვლელი მკვლელები.

და ზღვაზე აზვავდნენ ტალღები,
მწვერვალზე სირუხე, ნისლია,
მიზნები სდუმან და ზრავები,
როდესაც მკვლელები ისვრიან.

ესვრიან სიბრელეს, განთიადს,
მზის ჩასვლას, ამოსვლას მენამულს,
ცხოვრებას შფოთიანს, დარდიანს,
სიზმრებსაც სიცხადით შენამლულს.

როდესაც დადგება ზამთარი,
როცა გზა ცივია, სველია,
და მერე გავიგებთ, რაც არი,
ყოველი ჩვენგანი მკვლელია.

წლებმა დამიტოვეს სიბრძნე,
მაგრამ წაიღეს ხალისი,
რამდენი რამე ვერ ვიგრძნე,
რამდენი რამე არ ვიცი.

ცარიელ წარსულს მიემართავ,
წამებით, წუთებით, წლებით,
როგორც დაკარგულ მისამართს,
სადაც აღარავინ მელის.

რადგან უეცრად ლამდება,
რადგან გათენებას ველი,
სადაც იწყება, მთავრდება,
სამყარო წახევრად მთელი.

რაღაც გარდასულს, განვლილს და წაშლილს,
იტოვებ-კარგავ; კარგავ-იტოვებ.
და დაბრუნდები... ცარიელ სახლშიც
და გიმასპინძლებს იქ სიმარტოვე.

დანგრეული ჭერი, კედლები,
და შენ ბავშვური მოგდევს ცდუნება,
მოლოდინს ფუჭად რას ევედრები,
წარსული მაინც არ დაბრუნდება.

გთხოვ, დამიტოვე!..
ილუზია ან
სინამდევილე,
ან აუსნელი
ამოცანა,
ან სიმარტივე,
ან სირთულე,
ან სისადავე,
დასასრული,
ანდა სათავე!..

გთხოვ, დამიტოვე!..
რაც მაღროვე,
რაც ვერ მაღროვე,

გაგა ნახუცრიშვილი



რამე დატოვე,
თორემ ცხოვრება,
ეს ცხოვრება,
დიდი ხანია
გავიმარტოვე.

მოდის და მიდის

არ დაიჯერო,
საზღვრის და კიდის,
ყველაფერი ხომ
მიდის და მოდის,
მოდის და მიდის.

არ დაიჯერო,
ძველის და ახლის,
სულ ხომ ასეა,
მიდის ხალხი,
მოდის სხვა ხალხი.

არ დაიჯერო,
სიბრძნის და ბოდვის,
სულ უთაგბოლოდ
სიტყვა მიდის
და სიტყვა მოდის.

წუ დაუჯერებ,
მონატრებას,
წუ იწყებ ლოდინს,

სიყვარული ხომ
არსად მიდის
და აღარც მოდის.

არ დაიჯერო,
სულერთია,
დრო
მცირე, დიდიც,
ყველაფერი ხომ
მიდის და მოდის,
მოდის და მიდის.

იქ, სადღაც, შორს.

და ხდება
ბედი რომ
არ ტოვებს არჩევანს,
მეტი რომ
არ გინდა
მოერგო როლს
და მეც აღარ მსურდა,
ასეთი დარჩენა,
წავედი,
წავედი,
იქ, სადღაც, შორს...

და მე ხომ არც ერთი
ტკივილი
არ ამცდა,
არ მინდა
კივილი,
სიჩუმე,
არც დაცდა
და უნდა წავიდე
მე
იქ, შორს, სადღაც...

და ნულარ მომძებნით
ოცნებით,
ლოცვებით,
მოეშვით სულ ტყუილ
ნუსილს
და ფიქრს,
იცოდეთ,
კარგად ვარ,
წავედი,
წავედი,
სადღაც, შორს, იქ...

ქართულად ხერე

სხვას არაფერს გთხოვ, მეგობარო,
ახლაც და მერეც,
ქართულად წერე.

რომ მზე არასდროს მოეფაროს,
ამ ველებს, სერებს,
ქართულად წერე.

რომ გიხაროდეს, შეიყვარო
და გრძნობდე ფერებს,
ქართულად წერე.

არ შეელიო, მოეფერე
სიტყვებს და ბგერებს,
ქართულად წერე.



უცნობი ხმები, რითაც მავსებენ,
წარმავალი და უღიძლებოა,
თავს ხელისგულზე ჩამოვასვენებ
და მზე, ვინ იცის, როდის ამოვა...
დღეო, ჩვენ ერთად ესადამოვდებით,
ჩამავალ მზესაც თვალს რომ ვაყოლებ,
მე, შენოვის მკვდარი, აღარ მოკვდები,
აქ შენი მზით და სუნთქვით მაყოვნებ.

კვლავ გვერდის ავლით ვახშურ ცხოვრების,
ქარდაქარ სვლა და გადაქარება
და სამშობლოში ვართ მათხოვრები,
რაღან ერ შევძლეთ გადაგდარება.

თუმცა ნამსვლელი იყო რჩეული...

თუმცა ნამსვლელი იყო რჩეული —
წავიდა, იქცა ნაფეხურებად,
და კანიჭავ თვალს და შემოჩეული
მომავლის ლანდი წამეხურება.

ვზი ფიქრის ჭაში, ჭიდან ამომსვლელს
არც ალტერ ეგო, არც მე არ ვგავართ,
მერამდენეჯერ ვიცვლი სამოსელს,
მაგრამ რატომძაც ისევ აქა ვარ.

რას ნიშნავს ლამის რეჩიტატივი,
შეგრძნება, თითქოს მუდმი ცალკე ვარ,
რთულია ის, რაც არის მარტივი
და სიმარტივის მინდა გარკვევა.

გამოლენული ყოფის ნაგვიდან,
თანდათან ვერწყმი დღეებს საუფლოს,
ვდგები, ვშორდები საწერ მაგიდას
და ვცდილობ ფიქრში გაგესაუბრო...

სიტყვას არ ეძიგს...

...უსმენ თვალებით ნათქვამს
და გაიფიქრე:
ამ კამერტონზე რომ ააწყო შენი ცხოვრება,
მზეს და მინას, მდინარეს და
დამალულ ქარებს უნდა უსმინო
და უნდა იყო მათი გაზრდილი,
რომ სიტყვაში დაუნახავად იგრძნო მზე
და გაიხსენი დამეტები მზის ნაფერები,
როცა სულის უთქმელობა გამჭვირვალეა
სიტყვას არ ექტებს.
გაიხდე და იმ ყვავილს თვალი შეავლე,
მეუთვალავედ რომ გაიძალა, როგორც პირველად,
იგი ხომ სათქმელს სურნელით ამბობს
და ასე გიხმობს,
თვალმაც ხომ იქით გადაინაცვლა
და უხილავ სიღრმეში ჩაჰყვა.
აქ შეიძლება უცაბედად რომ მოჰკრა თვალი
ან იგრძნო მისი სიახლოვის გამჭოლი წუთი,
ყველა დროს რომ ფლობს ერთდროულად,
მაგრამ თვითონ არსად არ არის
და მაშინ უყვარს ჩვენში ყოფნა,
სულის გარდა რომ ვერავინ ამჩნევს...

დაველოდები, აბა, თუ მოვა,
როცა განწყობა საბათუმოა
და საყვარელი ლამაზმანები
არის საცალო,
მაგრამ ფასი საბითუმოა,
ჩვენ მაგრად ვდგავართ,
არ მოგველის გაბითურება,
რაღან განწყობა საბათუმოა,
თუმცა არ ვიცი იმ საღამოზე
საბუთიანი საბა თუ მოვა...

რეკორდი... 2015 ლეის ივნისი

...მე თქვენთან ერთად მივდიოდი ღმერთის სახლამდე,
მაღლიერ გუნდის მოზეიმე ხმების თანხლებით.
რას დაღვრემილხარ, სულო ჩემო, და რათ დამკვენესი?..*

რას ვიფიქრებდი, ეს განსაცდელი თუკი მელოდა?!
მახსოვს ნადიოს თავს რომ გვესხმოდა,
მაშინაც ცხრე ცრემლით მოვთქვამდით,
და კარგულ ბავშვებს უნახავად დავქვითინებდით
და თავის შიშში ველარავინ იმალებოდა...

ისინი იქცენ წარმოსახვის პერსონაჟებად,
ზოგს სიზმარი რომ გამოარჩევს
და აცოცხლებს, ნიშნად იმისა,
რომ ისევ ახსოვს მას, ვისაც ახსოვს
და თუ ივინებს, მხოლოდ იმიტომ,

* „რას დაღვრემილხარ, სულო ჩემო, და რათ დამკვენესი?..“
ფს.41. 6;

გივი ალხაზიშვილი



რომ ოდესმე მოულოდნელად ამოაცუროს,
დაუგინებარ თავფურცელივით...

ვინ იფიქრებდა, შეა ქალაქში მოვარდნილ რისხვად
და მესაფლავედ იქცეოდა პატარა ვერე
და საწყლებს ცოცხლად თუ დამარხავდა?!

ვინ მოელოდა თუ შემთხვევით გამსხლტარი ვეფხვი
შეა ქალაქში ვინმეს დაგლევდა
და ქალაქს შიში დაზაფრავდა,
ისე რომ გარეთ გახედვასაც ვეღარ ბედავდნენ
და ვის შეეძლო ამ ტკივილის გულში დამალვა?!

თვალი შენი შეშინებულ ხმას აედევნა,
ხედავ, რამხელა ცა ჩამოდის?
მინაზე ცა ვეღარ ეტევა...
მინაზე ფეხს ვეღარ ვადგამ,
მეჩვენება, რომ შენ გაბიჯებ...

...ის ახლა ჩემში ისევ ანათებს,
შეტი, რომელსაც არ უნდოდა დამშვიდობება,
როცა თვალს ვეზუავ,
მეშინია, რომ არ ჩამიქრეს...

ხალხს ქუჩებში მოსეირნე მტაცებლები ელანდებოდა,
ვერ ასხვავებდა სიხამდვილეს ზმანებისაგან!

...რად მაიძულე, რომ ვიარო შეჭირებულმა?
ღმერთო ჩემო, დაღვრემილია სული ჩემი,
უფსკრული უფსკრულს გადასძასის მხოლოდ შენი ხმით,
ყველა ტალღამ და ზვირთმა შენმა გადამიარა.

ღმერთს, ჩემს ქომაგს, შევეკითხები:
რად დამივარებულები?
აბა, სად არის ღმერთი ჩემი,
სად დავიგულოვ?
ან სად ვეძებო მე ისინი,
მდინარეო რომ ცოცხლად დამარხა
ჩემს გულში და ჩემს ხსოვნაში
და აქ მინა ვერ მიაყარა,
ისინი ზოგჯერ ისე ტირიან
აქ ხმით აღწევნ მინის ღამიდან..

ჩემი სმენა განირიულთა ხმების სახლია,
ისინი დაღლილ ფრინველებივით აქ იბუდებენ
და ჩვენ კვინესას ახმოვანებენ.

...რას დაღვრემილხარ, სულო ჩემო,
და რათ დამკვენეს?
ღმერთს მიენდე...
რომელიც არ ჩანს,
მაგრამ სულით ვგრძნობ, რომ აქ არის.

ღმერთო, წყვდიადში რისთვის მტოვებ?
მაჩვევ, სიბრელეს არ შევუშინდე,
მირჩევ ნათელის გულში შენახვას,
ღამიდან სხივის გამოდნობას,
ისეთ სიტყვად რომ იქცევა,
შემაშინებს მისი სისავსე,
ხოლო როდესაც დაეცემა სოფელს წყვდიადი,
მყისვე ჩინდები და ჩემში ანათებ.

სამყოფელს შენსას გულში პოულობ
და ყველა ბავშვი
შემოგვყურებს შენი თვალებით...

უღმერთობა დაიჯერე
და გაეცი და იჯარით,
ისევ ღმერთი თუ გიშველის
ისე მწარედ ჩაიჭერი!

რას ვიფიქრებდი,
ზოგჯერ შაშვი რეპერი თუ არი,
რადიკალურად შეუცვლია რეპერტუარი,
აბა, უსმინეთ, პერსპექტივა რა ფართო არი,
არავინ უნდა,
ძილშიც რეპავს,
სულ მარტო არი.

მორიგი თარიღი

„წერეთელმა დაგვიბარა ...
ხალხური

„ტირილი, ტირიდი, ტირილი ბევრი!
ბზის განიაგება, კალო და კევრი,
და სოფლის სინმინდე, მართალი ბათმანი,
როცა მე ქალაქში მანუხებს, მახელებს
ყველა ყელასხვევი, შავი ხელთათმანი...“
პაოლო იაშვილი („წერილი დედას“, 1916)

შენ შეეჩინი ზურგსუკან ქირქილს
საშუალოთა ნიჭაკლულობას
და, რა თქმა უნდა, სულაც არ გიავირს,
მათი ბედისგან დაჩაგრულობა.

გებარებოდეს მთელი მსოფლიო,
დაბადებამდე როგორც გებარა,
ხომ აკოლებდა, შენ, პირიფლიანს,
რომ შენი სოფლის მინა გებარა.

ხომ დაგიბარა ძა პაოლომ
და შენ კა, ყურიც კი არ ათხოვე,
აქ მხოლოდ მიიერ სიტყვებს პოულო,
აქ, მხოლოდ სიმწრის სიტყვებს ანთხევენ.

მაგრამ ამ ფონზე მისი მკლავებით
და ძუძუ-მერდით დაპურიბული,
ბედინერი ხარ ამ ანკლავებით,
გაქვს ლუკმაპური დაპირებული.

გამოეკერე ზეცას ქალაქის,
ზეცას კი არა, ტეცპნი ფილაქანს,
დარდა ახმოვანებ შენში დალექილს
და შოკოლადის ერთი ფილა ქალს

რომ უნილადე და გინილადა
ტანი, დროდადრო რომ აკონტროლებ,
ის ქალი იქცა იმშეცილად,
ამაყობს, შენთან მოკოტრიალე.

გეკურკურება და თავს გევლება,
ყოველ სიტყვაში ურევს ვიაგრას,
რომ მიგოლიდოს ფარისევლობით,
და შენი ლანდი საწოლს მიაკრას.

აღარ მოგწინდა მისი კრუტუნი,
ან არ მოგბეზრდა ხალხის ქილიკი?
მისი ნაწერი არის რუტინა
და საცოდავი პანეგირიკი?

ამათ სულ კენჭი უნდა იყარონ,
ამათ უნდა სცეს ხალხმა თაყვანი,
რომ სიფათები გადაიყვანონ,
როგორც ქალალდი გადასაყვანი.

ვცნობ მეტაფორას გულისცემითაც
და შენს ნაბიჯებს კულისებიდან,

სულ მოდიხარ და ვერ მოაღნიე,
ხომ ასე იქცა ულისე მითად?

როგორც ვიყავი შენთან იდესლაც,
მახსენდება და სულ ისე მინდა!

მიათოვა თავი შენი...

ნადი სადმე, უშენოდ წადი,
თვალს მიე

ლიტერატურული გაზეთი

რაც ვადაგარჩენს — სულის თვალია,
თუ მიუნდობი, ყველა სიტყვა აგეხილება
და სამყარო თვითონ გიპოვის...

მე და მინდორ გულალმა ვწევართ,
თაფლის სურნელი მაბრუებს მინდვრის,
ის ჩემი, მე კი მისა შემწევარ,
მე მას ვუდრი და იგი მე მიდრის.
ესაა ჩემი მყუდრო სახლ-კარი,
ცის სახურავი, გულში საყდარი..
ვინ მიუჩინა ჩემს მარტოობას
ულამაზესად მკვიდრი საყრდენი—
განსაცვიფრებლად მდედრი მინდორი,
ისე ღრმა, ისე სურნელოვანი —
დო რე მი ფა სოლ,
ლა ლა სი დო რე,
საუკუნეთა ფარული სუნთქვა,
გადამალული დროის სიმდორე
და ვარსკვალები — წვრილ-წვრილ შვილებით,
მოყურადებულ ცის მონიტორით,
ჩევენს სიახლოეს მოენატრება,
ჩამის სიმშვიდე და ცხრაკლიტური.

შენ ხარ, მაგრამ აქ არახარ...
მე არ ვიცი...
ისე, ხარ, მაგრამ ისევ სხვაგან,
ზოგჯერ ჩემთან მემოხედავ
და ისევ ქრები..
მე არ ვიცი... ისე, ხარ, მაგრამ...

ერთი სანთელი მყავს და
ახლა ხშირად არ ვანთებ.
ვიზოგავ, რომ არ დამელიოს,
და გულში ვმალავ,
მაგრამ ვინ შეძლებს შუქის დამალვას?!

მეგალის ანდერპი

დადგება დრო და
ბალში პირველმოწეულ ნაყოფს,
გაუსინჯავენ გემოს ბაგვები,
მერე კი, როცა ხე
ზეცაში ტოტებს გამოფენს
და ფოთოლცვენას დაელოდება,
გადამფრენა ფრინველები რომ
ღამის სათევად ჩამოსხდებია;
თვალი შევალე, მგონი მათ შორის
ჩემი სული იჯდა ჩიტივით,
ისიც გაფრენას აპირებს და
ელოდება ხელის აქნევას...

აღმოსავლური მოტივი

„მე-ალი-ხაზი. არაბი ამპარტავანი.“
შალვა აღლაზშვილი. „ამერიკანული დუეტი“..
ჟურნალი H_2SO_4 N1, გვ.44-45. 1924წ.

ვუთხარ — ინშალლაპ!
გამიღიმა, მელავები გამიშალა,
გულში ჩამიკრა, გული გამიშალა,
დიახ, გამიშალა, სუფრაც გამიშალა...
ინშალლაპ!...

აზიური ლამე იყო, ისეთი ნაზი აურა
და ისეთი გამზეურებული,
მზესთან მაზიარა,
მზის ნაწლილი ჰყვაოდა ყველა თოახში...
დღესაც მჯერა, რომ მზესთან მეძინა!

დილით კი ადგილი იცვალა და ამოვიდა,
ზღვიდან ამოიხედა, ზღვა გამიშალა.
ზღვის თვალი ჩამიკრა და გამიღიმა,
სალერლენი ამიშალა...
ინშალლაპ!

დაფარულია შენი მულამი,
დღისით თუ დამით?
შენს გარდა ხომ არავინ იცის!?

წელი ირწვა ტალღასავით
და მსუბუქად დაჭვება დაირას,
ამღერებული სისხლი დაირას დაირას...
რიტმი ლამის გადაირა.

სევდა, ** ინშალლაპ!
ერთადერთი ხარ, ვინც დღეს სული გადამიშალა
და ჩამავალ მზეს აედევნა
და ჩევენ სამივე ერთმანეთში გავუჩინარდით.

* ინშალლაპ! არაბულია და ნიშნავს — ღვთის ნებით! ღვთის წყალობრით! შეიძლება უფრო მარტივად — კარგად იქნება.
** სევდა — ქალის სახელი

ინშალლაპ!
და ჩევენ სმენა იქცა ნიჟარად,
სადაც ღმერთი დასაბამიდნ
ცის და მინის ფშვინვას ინახავს,
როგორც ჩევენი სუნთქვის ნიშანენალს,
ჩევენ ერთმანეთში გვიცემს გული
და ერთმანეთს სუნთქვით ვპოულობთ...
ინშალლაპ!

რა უდა გეთქვა?!

შენ რომ შეგეძლოს ჩევენთან მოსვლა,
ან მე შენამდე რომ მოვალწიო,
თუნდაც ისე, სიტყვაში რომ მეგულები
და ვარდნობ შენს ყოფნას;

არ არსებობს ჩევენს შორის დრო და არც მანძილი,
არის მხოლოდ უცხად გასვლა რეალობიდან
და გახედვა წუთის ღრიჭოში,
სადაც ჩიდება ფარშევანგი —
შენცვეტილ სიზმრის ორეულივით,
მდუმარებამ რომ გამოჩეუ
და აქედან გასასვლელს ეძებს.

უხმო სიტყვას ზოგჯერ გულსაც ამოაყოლებ
და ისე გიჭირს მისა უკან ჩაბრუნება,
როგორც თვალში ბორცინვის ჩამალვა.

ეს ღამე რომ შვა, ის დღე დამთავრდა,
შენ შეაფარე თავი მიმიკას და არითმიას,
ფამერმალე და მომინდა იმის გაგება,
რისი თქმა გასურდა?!

მაგრამ შენი ხმა ისე გაქრა,
სიტყვად ვერ იქცა
და მიგვედი, ისე ახლოს იყო შეგრძნების ენა,
რომ შევუერთდით დუმილს ორივე,
სადაც შეგვეძლო უსიტყვოდ ყოფნა
და სათქმელის გულში გავლება,
ჩევენ რომ გვესმოდა და სხვას არავის;

რა ახლოსაა ორი დრო და
ორივე მხარე;
ნონასნორობას ვგრძნობ, მაგრამ არ ჩანს,
მე ხმებს ვხედავ,
თქვენს მოძრაობას სმენას ვაყოლებ
და მე გეძებთ, უხმიდ გეძაით,
თქვენს გამო ჩემში მინა ატირდა!

ღმერთის ვალი მაქვს მარტოდენ
და თუ ვწერ, მხოლოდ ენერ ვალით,
ეს კი მწვერვალებს არ ტოვებს,
ფაპერო ცველა მწვერვალი.
არ მასხოვს ამ ქალს რა ჰქვია,
ლილი, ლალი თუ მანანა,
ყველა მწვერვალი აქვეა
და იღებს ესჩემანანა...

მგონი დავუსხლტი ავაზას,
ანდა დროებით გადავრჩი,
ერთხელ ხომ შემომთავაზა
სტუმრობა თავის დადარში,
დრო ასე გამყავს სილალით,
კაფიასა და ღადავში.

ფურცლებში ჩარჩა სიფრიფანა ჰერბარიუმი,
გამჭვირვალეა ზაფხულის კვალი
და ხსოვნისაკენ მზერას აპარებს:

მე დაგნები! შენ?
სადა ხარ შენ?
შენ აღარ ხარ ჩევენ?

დავავება

ეს ეჭვი მაინც მიდის იქითკენ,
არ მეგულება სადაც სიკეოო,
მიხვალ და გულსაც ალბათ იქ იტკენ,
კართან, რომელიც სიმწრით მიკეტე.

აგედევნება ეჭვის ღრუბელი —
როგორც ბაგშვინის სკიდან ფუტკარი,
ვერ გრძნობ კარგია თუ დამღუბველი,
ახლა რომ უთხრა, რაც ვერ უთხარი..

ნაბიჯს გადადგმულს მისკენ თუ სხვაგან,
არავინ იცის დღეს რა მოპყვება,
ფიქრში არსებულ კონტურულ საგანს —
შემორიგება თუ ამბოხება;

ნარმავალია ქვეყნად ყოველი,
მინდორი ხმება, ხან იქარგება,

მე კი ყოველთვის იმ ხმას მოველი,
ვინც არასოდეს არ იკარგება.

დუმილის უდაპნ

ამ დილით..
მუდამ იყო ეს დილა,
ამ სიცოცხლეშიც იყო, მანამდეც
და იგი გულში ისე შეზრდილა,
ორივე ერთად უნდა დავლამდეთ.

რომ გამოვალებ, დია ფანჯრიდან
ისეთნაირი მოჩანს სამყარო,
ჩემში რომ ცხოვრობს, მე რომ გამჭვრიტა,
რომ მორიდებით თავი დავხარო...

მაგრამ ბალაზზე თავის მიდება
მომენტრება დიდი ბაგშვივით,
დამისკენ ნასვლას მთხოვს დაბინდება
და მინდორი აქვს ჩემთვის გაშლილი.

სხვაგვარად ვერძნობ და ვეძებ სხვა ანბანს,
ვეღარ მომანვდენ მზერას და ვერც ხმას,
ასე ვეჩვევი ტებილ-მწარე ამბავს,
უდაბნოსავით დუმილთან შერწყმას.

არის წუთები, თვალს ვერ გისწორებ,
აგარიდებ და სულში ჩამხედავ,
ეს ღამები მექცა მინურად
და თავისეაფრად გამქრალ სახეთა.

იმედი ვიდრე გადამეწურა,
ვიქები შენთან, სულ ახლოს, სულ შინ,
მე სინასულში მსურდა მეცურა,
აღმოვჩნდი ღმერთის ნაჩუქარ სულში.

ნიგილაც „მასამ ლეპსი...“

აქეთ ლილოა და იქ ნორიო,
ძალიან ახლოს დუმს იგნორიო!

რა ქანას, აგიუბებს უკეთესობა,
როდესაც უკან უკეთ ესობა.


ნუთუ შენც ბრუტუს,
იჯერებ პრუტუნს?

ზოგიერთის გემოვნება,
არის ნაღდი გომოვნება!

ექაჩებოდა, ისიც მისდევდა,
თიოქის იძაზე ქარიზი ება
და ქეც უყვარდა თავშესაქცევად,
იმასთან ერთად გარონიება.

აძლია კეისარს კეისრისა,
კეისრის ზენოლით გეისრისა.

დაუყენეს ხეს გუშაგი —
ინდმენარმე სექს-მუშაკი.



* * *

ჯერ არარსებულ ქალაქში ვცხოვრობ,
ვით უსანქციონ წიგნის ავტორი,
ცხოვრება მქონდა ცხელი და ცხარე,
მე და უფალი დავრჩით მარტონი.

მაკრთობდა ცივი ქარის კივილი,
ვერ შევეგუე მდარე მდინარეს,
ვერ შევაჩიე გული ტკივილებს.
სული — უგულო ადამიანებს.

მსურდა მეცხოვრა ღმერთის მეზობლად,
მაგრამ ცხოვრებამ ისე გამლახა,
მალე გაიტან კუბოს ეზოდან
და ოქროსავით ჩუმად დამმარხავ.

როს დაგშორდები ათასი მილით,
ვინ მომამავებს სანუკვარ დაფნას,
მზე, მოწყალების დასავით თბილი,
გააშრობს ლამით დაცვარულ საფლავს.

და ჰარმონია იქნება სრული,
შაშვი იქნება შენი მგოსანი,
ცოდვილ მინაზე დაღლილი სული
და ამაღლდება იესოსავით.

არარსებული დარდით და ოხრით
დგას და აგროვებს ვერცხლისფერ თასებს,
არარსებული სიზმრების ქოხი,
არარსებული ოქროთი სავსე.

* * *

მოდის ვიღაცა და ხელს მაფარებს
თვალებზე, რათა არ დავინახო
ახლადგატრილი შენი საფლავი,
შენი ყანა და შენი ვენახი.

დამწუხებული, როგორც ობლები,
ეზოში შავი ჩრდილები ისხდნენ,
და მატარებლის რკინის ბორბლები
გადადიოდნენ ჩემს გულზე რისხვით.

გულს იხეთქავდა შენი მერცხალი,
აღარ უნავდა სისხლი წევნიდან,
შენ კი ინექი პაგედამცხრალი
და ყველაფერი ფეხზე გმიდა.

* * *

ცოდვილ მინაზე ვეღარ ვეტევით,
ზოგი — ლტოლვილობს, ზოგი — მარტვილობს,
უნდა ავფეხუდე დინამიტივით,
მე ამ ცხოვრების დედაც ვატირე.

ამ ცხოვრებაში ბევრი დავკარგე
და მსგავსი ვერაფერი ვიპოვე,
მინა ღვთისმშობლის ხელით ნაქარგი,
ეს არის, ლამის გამოვიგლოვო.

ღმერთი გვცდის... ახლა მე ვარ მორიგე...
ღმერთი გვიგზავნის ციდან ნარეკალს,
ყველანი გონს თუ აღარ მოვეგეთ,
მდინარე ვერე ისევ ნაგვლეკავს.

* * *

გვიან გავიგე და გვიან მივხვდი,
რაც ადრე უნდა იცოდეს კაცმა,
მე ახლა ვზივარ და სასკელს ვიხდი,
სხვა არაფერი, ესა ვარ, რაც ვარ.

წუთისოფელი ბენვის ხიდია,
გილიოტიხა, ძელი და ჯვარცმა,
გამჭვირვალეა რწმენაც, იდეაც,
სხვა არაფერი, ესა ვარ, რაც ვარ.

ყველა ვიცანი, მტერი ვინც არი,
მეტი რა უნდა იფიქრო კაცმა?!
ვიცანი ყველა, ყველა ვიცანი,
სხვა არაფერი, ესა ვარ, რაც ვარ!

* * *

ისე უბრალოდ ამოდის ია,
უბრალოდ, როგორც შაშვის გალობა,
იის ამოსგლას სიცოცხლე ჰქვია,
შაშვის გალობას — მადლის წყალობა.

მეც გადმომხედა მალიდიდან ღმერთია,
ამ მინის შვილს და სიცოცხლის ნანილს,
თუ დღემდე ჩირალდანივით ვენთე,
ვეღარაფერი ვერ შემცვლის ანი.

ჟამთასვლას ვერც მე გადავურჩები,
„თეთრი ქალაქი“ მას მე დავარქვი,
როგორ იცხოვრებს ნეტა უჩემდო
ბათუმი — ჩემი თეთრი ქალაქი?

შოთა ზოიძე

თათა მშვენიერება ქალება

ერთმა მშვენიერმა ქალმა
ჩამიქროლა, როგორც ქარმა,
გულში ჩამიტოვა ქარვა,
ტკივილები გამიქარვა.

ერთმა მშვენიერმა ქალმა,
ერთმა მშვენიერმა ქალმა.

მე ახლა იმ მანდილოსანს
შევაყვარე ჩემთან მოსვლა,
საგანგებოდ შეიმოსა
და მე მომეანგელოსა,

ერთმა მშვენიერმა ქალმა,
ერთმა მშვენიერმა ქალმა.

ალი — სარო, ქალი — ალვა,
ქალი — ბროლი, ქალი — ქარვა,
დაზევა მისი ცეცხლის ალმა,
მომიქროლა, როგორც ქარმა,

ერთმა მშვენიერმა ქალმა,
ერთმა მშვენიერმა ქალმა!

* * *

ეძინათ ხეებს, ხევებს და ხრამებს,
ჩვენი სასტუმრო იდგა ათენთან,
ვინერით ბენელში და დიდი ღამე
ჩვეულებრივზე ადრე გათენდა.

და არქაული არქიტექტურით
სასტუმრო გავდა ციხე-სიმაგრეს.
ცხადია, ახლა ბედს არ ვემდური,
მე შენ აქ სასწაულით მიგაგენ.

მე უკვე შიშველ ქუჩებს მოვფინე
ჩემი ზვიადი ფიქრის პროფილი,
თითქოსდა ჩვენი წუთისოფელი
უცხო სხეულით ტკბობა ყოფილა.

* * *

კვლავ აივსება შენი უჯრები,
ჩემი ფიქრებით, ცხელი ვნებებით,
რასაც ვუჯერებთ, ან არ ვუჯერებთ,
რასაც ვნებდებით, ან არ ვნებდებით.

ყველა, რაც ვიცი და რაც არ ვიცი,
შენ ხარ ფუტკარი, მე ვარ ვამპირი,
მე ამ ყველაფერს ისე განვიცდი,
თითქოს მეორედ მოსვლას ვაპირებ.

მე ეს იესოს ვუთხარი სამჯერ,
და მიგშურე დანას ბალებს
და საგანგებოდ დაგმანულ ფანჯრებს
უფალი ხურავს და ისევ აღებს.

* * *

მე მოვრჩი უგზო-უკვლოდ ღოლიალს,
ზოგან — მაწვიმდა, ზოგან — მათოვდა,
ცხოვრება ბევრი ქვა და ღორლია,
ფეხს წაიკრავ და მორჩია-გათავდა.

სოფელმა დედას პური მაჭამა,
და ბევრი დღეობები გამართა,
მიყვარს სოფელი, მისი წყალ-ჭალა,
როგორც ალუბლით სავსე კალათა.

ჩემი ბავშვობის წლები მედახის,
რუსიპირები სიზმრად ნანახი,
საქართველოში ერთიც ვერ ვნახე
სოფელი, რომ არ ჰქონდეს ვენახი.

* * *

მალხაზ ფალავას

ვარ უფლის სახლის სტიქაროსანი,
შაშვია უფლის სახლის მგოსანი,
მე მიყვარს შავი შაშვის რსანა,
მე ვარ შეგირდი ფრიადოსანი.

მე განსაცდელი ვერ დამეწევა,
შენი ზვავი ვარ, შენი მეწყერი,
ჩემი სიცოცხლე ახლა იწყება,
მალე იქსო სახლში მეწვევა.

არ მომიძღვნია შენთვის ოდები,
მე შენს წიგნებში გავმეორდები,
მეტაფორების ფარას მოვდენი
და ეს იქნება ჩემი ორდენი.

* * *

არეულია ლანდებში ლანდი,
ქუჩაში — ხალხი, ცაში — ფრინველი,
სულ ასე იყო და ასე ჩანდა,
და ამას ვერდნობდი მუდამ პირველი.

ჟამთაღმწერელი დარბულ დრო-უამს
ხედავ და ჟამი ზუსტად ათვლისას,
მარაბდის ომში დაფლეთილ დროშას
სულს უბრავდა დედა ქართლისა.

ახლაც ვაგროვებ გაცრეცილ დროშებს,
დალვრილ სისხლსა და მებრძოლთა გვამებს,
ამ ჩემს თახსილ და უბედურ დრო-უამს,
იქნება ამით შეცმატო რამე.

* * *

მე შენ მეგონე ჭექა-ქუხილი,
ჭექა-ქუხილი თავზე დამტყდარი,
მე შენ სიზმარში გნახე წუხელი,
აფეთქებული, როგორც საყდარი.

ადიდებული, როგორც მდინარე,
აელვებული, როგორც ხანდარი,
გამომაღვიძე მე შენ მძინარე
და ცაში სანავარდოდ დამძარი.

დაპყრობილი ვარ ახლა მთლიანად,
შენით და საყვარელი ყვარელით,
შენა ხარ არტემიდე — დიანა,
სიზმრის ქოხიდან წამოყვანილი.

* * *

შენი გული ვარ და შენში ვფეხუავ,
შენი თვალი ვარ და უცებ ვახელ,
მინდოდა, მაგრამ აქამდე ვერ ვთქვი,
ქვეყანას მოვფენ შენს ლამაზ სახელს.

ძუძუ მანოვა ქალღმერთის ფურმა,
დედამ მასნავლა ღმერთიების ენა,
მე იქროს თევზმა მასნავლა ცურვა,
ჩიტმა გალობა და ცაში ფრენა.

შენი გული ვარ და გულის ფეხქავა,
ეგ მეტრი ჩემი ამორბალია,
მე შენთვის ადრე მინდოდა მეთქვა,
გულს გაფრთხილება უნდა ძალიან.



სერულ ქსოვილთა სინჯები რომ აიღეს
და ჭურვის ნამსხვრევებიც სათითაოდ
ამოუჩინიჩენს, ჭრილობები უკვე შუშდებო-
და და კარსონის გასასინჯად პალატაში
სხვა ექიმებასაც, ზოგჯერ ცივილურო,
ინვევდნენ. ეს უბრალო სამედიცინო შემთხ-
ვევა როდი გახლდათ. საკითხავი თავად
ადამიანი იყო. ახალმოსულნი მუდამ ჩერ-
დებოდნენ ვეტერანთა ადმინისტრაციის
კუთვნილი რკინის საწოლის მისადგომებთ-
ან და ალმაცერად, არაპროფესიონალური
შეცდუნებით ათვალიერებდნენ პაციენტს,
როცა მაიორი კიმლი უჩუმრად წარადგენ-
და ხოლმე სტუმარს: „კარსონ, ეს არის მა-
ვანი ექმი. თქვენს გასასინჯად მოვიდა“.
ჩინ შაიორი იძხანად დიდი მოთმინებით
ეპყრობოდა კარსონს, დანესებული ხე-
ლოვნებითა და სიმარჯვით წამლობდა.
თავი არც მკაცრად ეჭირა და არც ეფერ-
ებ-ელოლიავებოდა.

პირველ ხანებში მაიორის სტუმრები
თვალს სწრაფად არიდებდნენ კარსონს,
ავადმყოფობის ისტორიის ფურცელს
აშტერდებოდნენ, უსაფრთხო პროგნო-
ზულ აბრაკადაბრას ებლაუჭებოდნენ და
გასინჯვისას კარსონი ამჩნევდა ყოველი
მათგანის შეძრნუნებულ გამომეტყველე-
ბას. მერე კი, საყრდენ ბალიშებზე უძრა-
ვად მნილარე, თვალს აყოლებდა
გამოწევილ ზურგებს, პალატას რომ
ტოვებდნენ და რაღაცას მიედ-მოედებოდ-
ნენ, თითქოსდა აյ არც კაციშვილი
ჭაჭანებდა და არც ტკივილი სუფევდა.
ადრე, ყოველი ამგრანა ვიზიტისას, ეგე-
ბორდა, გამოწვევა ეტყორცნა მათი წამიერი
მზერისათვის, ასე აბუჩად რომ იგდებდნენ
მის უსასოობას. ეზიზლებოდა მათი ცნო-
ბისმოყვარეობა, მსგავსი იმისა, კლერკები
და დიასახლისები რომ ეტანებიან თეატრს,
სადაც მუქთად შეაურიალებთ სხვათა
სიკედილი და აგონიები, ხოლო აფორი-
აქება ცხოვრების შესისხლხორცებად შეი-
რაცხება.

ეს სიძულვილი ჰოსპიტალში როდი
გასჩენია. მასი მოძალება სიკოცხლეს უნ-
არჩენებდა. ნელ-ნელა იხვეჭდა სიძულ-
ვილს და ძვირადაც დაუჯდა, ხე-
ლფეხდა მაზრალი თვეობით რომ ეგდო
აქოთებულ სანგრებში, სადაც სათოხლავ-
იც ეყინებოდათ და ტყვია-წამალიც ელე-
ოდათ ხოლმე. და რამდენჯერ ყოფილან
მოქცეულნი ალყაში, ისეთი ვაი-ვაგლახი
ტრიალებდა, ვერავინ რომ ვერ წარმოიდ-
გენდა ამას თუნდაც ომში. კარსონს
სწორედ იმხანად დაუუფლა სიამე კაცისკვ-
ლისა. ორი ნელინადი ევროპაში ომისას
დიახაც ხოცავდა მტერს, მაგრამ სიამემ
სწორედ კორეაში შეიძყრო. ევროპაში ამას
ვერ შეიგრძნობდა. ესროდა მიზანში,
ყოველთვის მხოლოდ მიზანში, ვერ აცნო-
ბიერებდა, რომ ადამიანს ესროდა და თავი-
სიანებთან კვეხისას იძახდა: ერთი
გავასალეო. თითქმის ერთი წელიადი იქნე-
ბოდა გასული ომის დამთავრებიდან,
როცა იაზრა, ჩემგან მოკლული კაცის არც
სახე და არც სხეული ახლოდან არასდროს
დამინახავს. ევროპაში ომის დროს ეს
აზრი არ ამოტივტივებულა თავში და
მოგვიანებით რომ ჩაუფიქრდა, ეუცნაურა
ასეთი ფანდი გონებისა და ვერ გაეგო,

ადრე რატომ ვჩემალავდიო.
კორეაში უკვე თვალს ადევნებდა,
როგორ იშხლართებოდნენ და ღაფავდნენ
სულს მისი ტყვიით მოკლული. ერთხ-
ელაც, ჩასაფრებულმა ეული ჯარისკაცი
გამოიტყუა თავისი ბურქიდან ათი იარღის
მანძილზე და დიდად მოილებინა იმით, რომ
ნანლავები გადმოაყრევინა. ვერა ხვდებო-
და, რომ ეს უკვე სწყუროდა. ეს იყო
საზღლური იმისა, რომ სტანჯავდა მოყინუ-
ლი, ხელყუმბარისგან გაოხრებულ-გაშ-
ებებული იდაყვი და ჩაშეამტბული ცხოვრე-
ბა. ეს სიძულვილი გამოუკრთებოდა
თვალებში, როდესაც უმზერდა მაიორის
კოლეგებ-ნეიროქიორუგებს, უმნეო ცნო-
ბისმოყვარეობით რომ იდგნენ მის სა-
ნოლთან მოგრძო პალატაში, სადაც კიდევ
ცხრამეტი პაციენტი გაემწესებინათ, რომ-
ლებთან კარსონს არასდროს ორიოდე სი-
ტყვა/კ კი არ დაუხარჯავს.

ສາງູຫາຕາມ ຕາວທານດ ມາຮັກໂນດມາຮັກໄອ ຮົບເຊີ-
ບ່ອນດາ ລູາມີສ ອູ້ຫຼືກູ່ຽບ ທັກສະບັບດີສ ມີລົດນຳ,
ຢືນດາ ມາຮັກໂນດມາຮັກໄອ ພູມ, ຮົມ ຖົມ ປຸກ
ມອນສະດິອນດາ, ຮົມແຈສາງ ແກ່ຕົນເບີດ ເຖິງມີສິນ ຮຶບ-
ກວ່າລູກທັດນິກ ມີສ ກາດວັນທີພາວະເໝັ້ນສ ສາຂະດອນມີສ
ເນັດ ແກ່ສິມອນດາ ຂະແໜເລີດ ສານີຕົກໂຮນ ໄດ້ແລ້ວນິກ,
ຮົມເມືລສາງ ແກ່ມິນີໂຫຼາກ ແກ່ມິນີເຫຼົ້າ ມີສ
ມອນມີກຸງກະເລັດນິກ ກົງກົງ ສາເຂົ້າຖື, ມີສິນາຂະກ

რობერტ ბოჟენი (1920-2003) —
ამერიკელი რომანისტი და ესეისტი.
გამოქვეყნებული აქვს ხუთი რომანი,
რომელთა შორის გამოირჩევა თავის
დროზე ბესტსელერად შერაცხული
„მძიმე ჯვარი“ (1951), და ესეების
კრებული „სიმართლე კომუნიზმის
შესახებ“ (1962). მეორე მსაფლებელი
ნლებში მსახურობდა აშშ სამხედრო-
საზღვაო ფლოტის რიგებში პირველი
კლასის მსროლელის წოდებით.
შემდგომში მოღვაწეობდა კორნელის
უნივერსიტეტში.

რობერტ ბოუენი



საიმედოს“, დედალი სერუანტი მას ე ყვილებოდა, მიეტმასნებოდა და ეტყოდ „კარ, ერთად ხომ არ წავიდეთ, ჰა?“ ეს კით ვა როდი იყო, არამედ ბრძანება და კუდ მისდევდა კარსონს. ერთ სახლს რო მოითავებდნენ, იქვე მეორე ჩნდებოდ შეამტკვრევდნენ კარს, ორივე მხარეს აიტან ზეპოდნენ, მერე სწრაფად უნდა გემოძრვა, შეჭრილი კაცი ხომ მოძრაობს და სადაც მიყუჟული გერმანელი წამით აგვიანება იმიტომ აგვანებს, რომ მჯდომარეა. მ გრამ თუკი კართან დაყოვნდი, გერმან ლი გონს მოეგება. ძალზე ძირიფასია წამი კართან, კედელს რომ შეასკდები დპირველი შედიხარ შიგნით. ეს შე ჰენდიკაპია გერმანელზე.

ერთად ომობდნენ და კარსონი მორჩილად ასრულებდა სერჟანტის ქლესა-ქლესურ ბრძანებებს. და გამუდმებით ენადა მისი მოკვლა. ეს რეალურად რიცდი ჩაუფიქრებია, არც დაუგეგმავს, მაგრამ ყოველ სახლში შეკრისას სწყუროდა ჩაქაღლებინა სერჟანტი. მერე დაცხრებოდა ხოლმე და აგონდებოდა, იმიტომ ვრჩები ცოცხალი, რომ სანდო ვარო და სანდო იმიტომ იყო, რომ თავი ხელში ეჭირა. სერჟანტის მოკვლა თავგზას აუბნევდა და შორს წაიყვანდა. სერჟანტი რომ მოეკლა, ვაითუ მერე ოფიცირებსაც მისდგომოდა. ამასობაში ეგებ სერჟანტს თავისი დაუდევრობით კონდახი ძირს ჩამოეშვა ანდა სანგრის თხრა მიეტოვებინა, ბნელში რომ შეეოვნდებოდნენ, და ავტომატით გაესაღებინათ. კარსონს თავი ხელში ეჭირა და ბოლოს, ერთ ცივ შუადღეს, სოფლის ჭასთან სერჟანტს ტყვიამფრქვევის ორი ტყვია მოხვდა მარჯვენა ბარძაყმი. საკაცეზე მწოლარეს ისე ალალად უხაროდა, აქაურობას ვტოვებო, რომ ხითხითით განუყვეტლივ იმეორებდა, როგორც საშობაოდ დასაჩუქრებული ბალლი: „მეორე ჯგუფი, მეორე ჯგუფი“.

კარსონი კი ისევ ომობდა და ის როდი
ეამებოდა, რომ თავი დააღწია სერუანტს,
არამედ იმით იყო კმაყოფილი, რომ მთავ-
გარა ურთიერთობა, თავს კარგად აკონ-
ტროლებდა და ამით თავის მარიფათს ამტ-
კიცებდა. მეომრის ხელოვნება მოითხოვ-
და სიმარჯვეს, მისი ბრაუნინგის ავტომა-
ტური შეაშხანის ლულა მუდამ ისე ტრი-
ალებდა, რომ შეეძლო სროლა ნებისმიერ
დროს და ნებისმიერი წერტილიდან. სხვა
ილეობიც სჭირდებოდა, ოლონდ თავადვე
უნდა ესწავლა. მაგრამ სწორედ დედალმა
სერუანტმა დახვება კარსონის საბრძოლო
განათლება ევროპაში ომის დროს. სერ-
უანტის გაცნობამდე ის იყო ჩინებული
მსროლელი, და სერუანტის გაცნობის შემ-
დეგ კი ჩინებული მეომარი გახდა.

ახლა კი ინვა თავისი მაღალ საწოლზე
და ტკივილი წუთითაც არ ეშვებოდა. სერ-
ჟანტთან ერთად გადახდილ ბრძოლებს
იხსენებდა და ნოსტალგია ეუფლებოდა.
გაახსენდა, ერთხელ, შუადლისას რომ ისხდ-
ნენ საჯინიბოს კედლის პირდაპირ და
ელოდნენ, საპრძოლო მასალას როდის
მოგვაწყდიანო — პანია მდინარე უნდა
გადაელახათ და ცოცხალი ღობით
გარშემორტყმული მინდოორ დაეკავები-
ნათ. წვიმების შემდეგ ჩამომთბარიყო, მთე-
ლი ერთი საათი იჯდა, მზეს ეფიცხებოდა
და ნება-ნება თამბაქოს ეწეოდა. მხოლოდ
წუთიერი, გაზაფხულის სიამე იყო, მაგრამ
ბევრი ამგვარი ახსოვდა იმ ომიდან.
საუცხოო ომი ეთქმოდა, გონივრული ომი
ნათელი მიზნებით, რომლებიც გნამდა. სულ
არ გინამლავდა, რომ გენადა გერ-
მანელთა განადგურება და გაზის კამერე-
ბის მილენ-მოლენვა. მთელი მსოფლიო
მოითხოვდა ამას. ომი რომ დამთავრდა,
ერთბაშად სიამაყებ შეიძყრო. კვეხით
არავის იკლებდა, მაგრამ დიახაც ემაყ-
ოფილი იყო და დედას მარტივად მისწერა:
„საუცხოო ომში ვიბრძოდი და დღესაც ასე
მნაში.“

თავისი საწოლიდან მთელ პალატას
თვალს აყოლებდა და ფანჯარაში ჩანდა
მოყავისფრო ბორცვები იმ მთებამდე,
ოციოდე მიღის სიშორეზე რომ იდგნენ
თითქოსდა საზეიმო მწკრივში. იხსენებდა
გადახდილ ომებს, პირველს — ევროპაში,
კეთილგონიერსა და სამართლიანს, ჯერ
კიდევ ახალგაზრდა რომ იყო, და მერე —
ომს კორეაში. პალატაში მხოლარე ბიჭების
უმეტესობაც, ალბათ, კორეის ომს დაქ-
სახიჩრებინა, მაგრამ კარსონი მათ ერთხ-
ელაც არ გამოლაპარაკებია. კორეის ომი
გულზე არ ეხატებოდა. მარტომდენ თავი-
სი ექიმი, მაიორი კიმლი, მოუკიდა თვალ-
ში, როგორც ევროპაში ნაომარი. და თუმ-
ცა არ აღიარებდა, ეს კაცი მომწონსო,
გული ნამდვილად არ მოსდიოდა. ძვალ-
რბილში ჰქონდა გამჯდარი, რომ არ უნდა
შესჩვეოდა ადამიანებს — ესეც ჯარში ის-
ნავლა. და კიდევ სხვა ნესებიც შეითვისა
— სამედო კაჯს უნდა ენდოო.



მწერალი

ლადო კილასონია

ის ნერს ძალიან თბილ, სახასიათო, მართალ ნაწარმოებებს. არ ვიცი, როგორ უთავსებს ერთმანეთს ორ უმნიშვნელოვანებს საქმეს — მწერლობასა და რაგბის, თუმცა, ფაქტია, წარმატება არც ერთი მიმართულებით არ აკლია.

ლადო კილასონია შვიდი ნიგნის ავტორია — „ლობე“, „უსიზმრონი“, „როცა უკვე დაგაგვიანდა“, „აბლაბუდას ზღაპარი“, „დაე, ვერ მპოვოს ურჯულომ“, „ფანტომა-სის კვალდაკვალ, ანუ ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგინყენია“, „ბრონქსური ამ-ბავი ოქროსუბნურად“. მის ყველა ნიგნა და იმ მოთხრობებს, ლიტერატურულ პე-რიოდიკაში რომ აქვეყნებს, ყოველთვის მოჰყვება ლიტერატორთა გამოხმაურება და მკითხველის დიდი ინტერესი. მისი ნიგნებირამდენჯერმე მოხვდა, „საბას“ ფინალში, არის „ერთი მოთხრობის“, „ლიტბუნიობისა“ და გურაძ რჩეულიშვილის სახელობის კონკურსის ლაურეატი, ასევე უურნალ, ჩვენი მწერლობის „ლიტერატურული პრემი-ის — „ნლის საუკეთესო პროზაული ნანარმოების“ — მფლობელი. რაც შეეხება რაგ-ბის — თოხვერ გახდა ევროპის ჩემპიონი. მოკლედ, სპორტისა და ლიტერატურის გადაკვეთის ნერტვილებზე — ლადო კილასონია საუბრობს.



— თქვენი მწერლური დებიუტი 2008 წელს შედგა, როცა „ლიტერატურულ პალიტრაში“ სამი მოთხოვობა გამოიქვეყნეთ. იქნებ გაიხსენოთ ის პერიოდი, როცა გადაწყვიტეთ, დაგებეჭდათ პირველი ტექსტები.

— შურნალის ის ნომერი შენახული
მაქსს.საერთოდ, ცყვლა გამოცემას, სადაც
კი დავბეჭდილვაარ, ვინახავ. როგორც
ალნიშნეთ, მაშინ ჩემი სამი მოთხოვნა
გამოქვეყნდა — „მატარებელი“ პირველი
ნაწარმოებია და ამიტომ გამორჩეულად
მიყვარს, „ერთი ჩვეულებრივი დღე თამა-
დის ცხოვრებიდან“, რომელიც დღემდე
კარგ ნოველად მიმარინია და „გოგო“
— მოთხოვნა გოგოზე, რომელიც მიყვარ-
და და თქმა ვერ გავუძედე. მაშინ ძალიან
ცოტა ლიტერატურული შურნალ-გაზეთი
გამოდიოდა, ცყვლაზე პოპულარულად
„პალიტრა“ ითვლებოდა, იქ გავგზავნებ
და დამიბეჭდეს. რა უნდა მეფიქრა 23 წლის
ბიჭს, რომელიც მანამდე მხოლოდ რაგბის
თამაშობდა?! რა თქმა უნდა, დარწმუნებ-
ული ვიყავი, რომ ასეთი მაგარი რამ დედა-
მინის ზურგზე არავის დაენერა და რომ
ჩემი მოთხოვნები ქვეყანას აალაპარაკებდა.

— რა თქმა უნდა, მოკუმატე. იმდენად
სწრაფად და ბევრს ვწერდი, რომ ერთმა
ძალიან ახლობელმა ადამიანმა მოსწრებუ-
ლად თქვა — მგონი, ლიტერატურული
ფალარათი აქვსო. ვწერდი და მაშინვე ვაგ-
ზავნიდი რედაქციებში, რადგან იმთავ-
ითვე კარგი მეგონა. იმის შეგრძნება, რომ
ტექსტი არასრულყოფილია, რომ კველა
მოთხოვობა კარგი ვერ გამოგივა და, ეს არა
თუ გულდასაწყვეტი, არამედ აუცილებე-
ლიცაა, ანუ კარგი და ცუდი ნაწერების
გარჩევა, ძალიან გვიან, მეშვიდე წიგნთან
ერთად მოვიდა, რაზეც ძალიან მწყდება
გული.

— პირველი შეხვედრა მხატვრულ
ლიტერატურასთან, პირველ წიგნებთან
აახსოვთ?

ტანჯული საყოფაცხოვოებო რაზეები ავი-




— რას ვერძნობ, როდესაც მახსენებენ, რომ შეიძინ წიგნის ავტორი ვარ? გული მნ-ყდება და ვპრაზდები საკუთარ თავზე. იძი-იტომ, რომ ვევდები, როგორ ვიჩქარე. დიდი სიამოვნებით არ დატერდი იმის ნახ-ევარს, რაც დავწერე, დარჩენილ ნახვარ-ში კი ბევრს შევცვლიდი. არ გეგონოთ, თავმდაბლობით ვამბობდე ამას. რაღაცებს რომ ვკითხულობ, მიკვირს და მსიამ-ოვნებს, რომ ეგრე კარგად გამომივიდა და იმედი მაქვს, მომავალში უფრო გავაუმ-ჯობესებ. ზემოთაც გითხარით, ადრე ყოველდღიურად უმუშაობდი, გიჟივით, დაუფიქრებლად. რეი ბრედბერი კი ამ-ბობს, — ნერეთ ყოველდღე, კვირაში ერთი მოთხოვნა მაინც, რადგან ნელინადში 52 კვირაა და არ ვიცნობ ადამიანს, ვისაც ამ-დენი ცუდი მოთხოვნის დაწერა შეუ-ძლიაო. დაახლოებით მსგავსი სისწრაფით ვწერდი მცე, მაგრამ უკან რომ ვიხედები და ჩემს დაუღვინებელ, ნაჩქარევ ტე-ქსტებს ვფურცლავ, არ მსიამოვნებს. ახლა ასე აღარაა, დავამუხრუჭე, ყოველ კვირა ახალ მოთხოვნას აღარ ვაცხობ და უურ-ნალ-გაზიერები აღარ ვგზავნი. თუმცა, ბრედებერი მაინც მართალია — ვისაც ნერა უნდა, მან ყოველდღე უნდა ივარჯიშოს (აქ ძგონი, მწვრთნელი ალაპარაკდა ჩემში). ამისთვის დღიურია კარგი. მეც ვცადე — სახეები, დიალოგები, ერთი ორი აღწერა

” მცირებობაში სინალდე მიზარს

— Мაგრამ დისციპლინა მაკლია, ამიტომ ჩემს დღიურში ლამის ორკვირიანი წყვეტაა. თუ ვინმე მეთოდურად გაჲყვება ამ საქმეს, დარჩმუნებული ვარ, საგრძნობლად დაიხერება. მუშაობას რაც შეეხება, ვწერ კომპიუტერში, თუ კომპიუტერი არ მაქს, ფურცელზე, უფრო სწორად, კარგ, ძვირფას ბლოკნოტში, რომელიც ვიზუალურად უნდა მომწონდეს. ეგ ბოლო დროის აჩემებაა და არ ვიცი, საიდან მოვიდა. წერა მიყვარს მარტოს, ლამით, მუსიკის ფონზე. მიზეზი ჩემი სახლია, რომელიც მუდამ სავსეა ხალხით. ჯერ ყურსასმენებს და მუსიკას მივეჩვიე, მერე კი ღამე დავინცყე მუშაობა. მუსიკასაც ჩემით ვარჩევ, რომელი დიდი მელომანი მე ვარ, მაგრამ რა სიმღერებიც მომწონს, კომპიუტერში მაქს. ახალი იდეა რომ მომივა, ჩავყრი სიმღერებს, გავხსნი ვორდის სუფთა ფურცელს, ვკრუფ და ვუსმენ. თუ მომეჩვენა, რომ თემას რომელიმე სიმღერა მოუხდა, სხვა სიმღერებს ვშლი, მხოლოდ მას ვტოვებ, გაუჩერებლად ვატრიიალებ და თან, ვატყაბუნებ თითებს კლავიატურაზე. აი, ეხლა ცოის ვუსმენ — „Дождь для нас“...

— თქვენ ლიტერატურულის გარდა,
სხვა ცხოვრებაც გაქვთ, ძალზე დატ-



კირთული. 19-20 წლამდე მორაგბეთა ნაკრების მწვრთნელი ხართ, საქართველოს რაგბის განვითარების ჯგუფის წევრი და მორაგბეთა აკადემიის მწვრთნელი. ისე როგორც ლიტერატურა, სპორტიც ბევრს ითხოვს ადამიანისგან, მაქსიმუმს ითხოვს, როგორ ახერხებთ, ორივესთვის დაიხსარჯოთ?


— რაგბი ჩემი საქმეა, რომელიც
სიგიყვენდებიყვარს და ამაში მაგრად გამო-
მართლა, ვაკეთებ იმას, რაც მიყვარს და
ხელფასს ვიღებ. თუმცა რაგბი ლიტერ-
ატურას ძალიან ჰგვას — მოითხოვს, რომ
მხოლოდ მასთან იყო, რომ ბოლომდე გაუს-
წორო საკუთარ თაგს თვალი და დაიხარ-
ჯო. ადრე მეჩვენებოდა, ორივეს ვერეო-
დი, ახლა ვხვდები, რომ ვეღარ ვწვდები.
თანდათან სულ უფრო ნაკლებს ვწერ, რაც
მანუხებს, თუმცა ისიც ვიცი — ბოლომდე
რაგბისტი ვიქენები და ბოლომდე დავწერ.

— თქვენს ფეისბუქებვრდზე „ლადო კილასონიას სპორტული ზღაპრები“, რამდენიმე ჩანახატი წავიკითხე სპორტის თემაზე, მათ შორის, „კაირო“ და „ინგლისური დღიურები“. არაჩვეულებრივი საკითხავია. რეპორტაჟებივით არის. თქვენ ხომ „ცხელ შოკოლადში“ სარაგბო ბლოგი მიგავდათ. სპორტულ ურნალ-გაზეთებთან არ თანაბმრომლობთ? ვიქირობ, თქვენი რეპორტაჟები არა მხოლოდ სპორტის გულშემატივარს მიიზიდავს.

— ჲო, ეგ გვერდი უცებ შევქმენი. თუმცა, „ფეისბუქის“ კარგი მცოდნე ვერ ვარ და ჩემი მამიდაშვილის შვილი, ანუკა მურვანიძე დამეხმარა. თან დამცინოდა, რადგან ვირტუალური „ამბების“ არაფერი გამეგება. გვერდის შექმნა, რაღაცნაირად, „ცხელი შოკოლადის“ დამსახურება. ბლოგის ნამყვანად რომ არ ავეყვანეთ, იძლენს ალბათ არ დაწერდი, დამეზარებოდა, ჩემთვის რაგბიზე წერა ნაცერენკალივითაა, თუ თამაშის შემდეგ ეგრევე არ დაგწერე, თუ ჩაქრა, მერე ვეღარ უუბრუნდები. „ცხელ შოკოლადში“ მუშაობისას იძულებული ვიყავი, რეგულარულად მეწერა, ხელფასს მიხდიდნენ, გაზეთ „24 საათის-თვისაც“ ვწერდი პატარ-პატარა სვეტებს. ასე რომ, ბევრი სპორტული ამბავი დამიგროვდა და რაღაცნაირად მეცოდებოდა ჩემი კომბიუტერის ვირტუალურ ყვითელ ფოლდერში რომ მქონდა გამომწყვდეული. ამიტომ შევქმენი ის გვერდი და მიხარია, მკითხველი რომ ჰყავს. ახლა რედაციებითან აღარ ვთანამშრომლობ და, მართალია, რაღაც თვალსაზრისით, გავზარმაცდი, მაგრამ თან უკეთესიცაა — გვერდი ჩემია, ვწერ, როცა მომინდება და ხანდახან, მართლა კარგად გამომდის.

— რამდენად საზრდოობს თქვენი ტე-
ქსტები თქვენივე ცხოვრებით, გადახდე-
ნილი ამბებით, რეალური ტიპაჟებით?

— მთლიანად ამბის მოგონება არ შემძლია, ამიტომ ნებისმიერი ჩემი ნაწერი, ნაწილობრივ, რეალურ ამბებს ეყრდნობა. არის ლამის დოკუმენტური მოთხრობებიც, ის, რაც მე ან ჩემებს გადაგვხდენია. ვიზურდებოდი ორგან — სოფელში, სადაც ბეჭია მივლიდა და ოქროსუბანში, სადაც ძმაკაცები მეხვივნენ გარს. ორგვე ძალიან საინტერესო ადგილი იყო, კეთილიცა და საზიზღლარიც, ორგვე ძალიან განსხვავდებოდა ერთმანეთისგან და თან, ძალიან ჰგავდა. წერაში კიდევ, მგონი, მთავარი გრძნობა, სიმართლეა. და ვინც — თუ გინდა სატურნის ან მოგონილი სამყაროს ამბებს ჰყვებოდეს — თავისას არ ნერს, თავის სატკოვარს, ბოლმას, სინანულს, სიხარულს ემსახულოს. რაც მოთვისოდა სიმართლე, სიმართლე





საქართველოს კულტურის
და სპორტის მინისტრი

კულტურისა და განათლების სამინისტროსა და მცხოვრილი სახლის ლიტერატურული პრემია



ლიტერატურული პროცესების წახალისებისა და გააქტიურების მიზნით კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და მცხოვრილი სახლის მიერ დაარსდა ყოველწლიური ლიტერატურული პრემია,

რომელიც გაიცემა ხუთ წლიწლიაში:

- წლის საუკეთესო პროზაული ნაწარმოები (კრებული/რომანი)
- წლის საუკეთესო პოეტური კრებული
- წლის საუკეთესო საბავშვო წიგნი
- წლის საუკეთესო წიგნის დიზაინი
- წლის საუკეთესო დებიუტი

თითოეულ წლიწლიაში გამარჯვებულს გადაეცემა ფულადი პრემია 4000 ლარის ოდენობით. ლიტერატურული პრემიის საკონკურსოდ განიხილება 2015 წელს წიგნად/ელექტრონულ წიგნად ქართულ ენაზე გამოცემული ორიგინალური ლიტერატურული ნაწარმოები.

პრემიაზე წარდგენილი წიგნი უნდა იყოს ტექსტის პირველი გამოცემა.

წიგნის კონკურსზე წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ გამომცემლობის მიერ. გამომცემლობებმა თითოეულ წლიწლიაში შეიძლება, წარადგინონ არაუმეტეს ხუთი წიგნისა.

კონკურსის შედეგებს აფასებს მწერალთა სახლის მიერ შერჩეული კონფიდენციალური ფიური, რომელიც 5 წევრისგან შედგება. ყიურის შემადგენლობა ყოველწლიურად შეიცვლება და მასში შევლენის მწერლები და ლიტერატორები, რომელთა ნაწარმოებიც ამ წელს საკონკურსოდ არ განიხილება.

გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება ფარული კენჭისყრით. განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა 2015 წლის 25 დეკემბერი. მოკლე სიას ფიური 2016 წლის მარტის ბოლოს წარადგენს.

კონკურსის გამარჯვებულები კი 2016 წლის მაისში, საზომიმ დაჯილდოების ცერემონიალზე, გამოვლინდებიან. გამომცემლობებმა კონკურსში მონაწილეობისთვის მწერალთა სახლის მისამართზე (მაჩაბლის ქ. 13) უნდა წარმოადგინონ:

- განაცხადი, საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით, მწერალთა სახლის დირექტორის, ნატალია ლომოურის სახელზე;
- საკონკურსოდ შერჩეული წიგნები (3 ეგზემპლარად). ელექტრონული წიგნების წარსადგენად განცხადება, ინფორმაცია და წიგნის ბმული მოგვაწოდეთ ელ. ფოსტაზე info@writershouse.ge. დამატებითი შეკითხვებისთვის დაგვიკავშირდით info@writershouse.ge.

ტელ: +99532 297 41 01; 297 41 02

კულტურისა და განათლების სამინისტროსა და მცხოვრილი სახლის ლიტერატურული პრემია



ლიტერატურული პროცესების წახალისებისა და გააქტიურების მიზნით კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და მწერალთა სახლის მიერ დაარსდა ყოველწლიური ლიტერატურული პრემია,

რომელიც გაიცემა ხუთ წლიწლიაში:

- წლის საუკეთესო პროზაული ნაწარმოები (კრებული/რომანი)
- წლის საუკეთესო პოეტური კრებული
- წლის საუკეთესო საბავშვო წიგნი
- წლის საუკეთესო წიგნის დიზაინი
- წლის საუკეთესო დებიუტი

თითოეულ წლიწლიაში გამარჯვებულს გადაეცემა ფულადი პრემია 4000 ლარის ოდენობით.

ლიტერატურული პრემიის საკონკურსოდ განიხილება 2015 წელს წიგნად/ელექტრონულ წიგნად ქართულ ენაზე გამოცემული ნაწარმოები.

პრემიაზე წარდგენილი წიგნი უნდა იყოს ტექსტის პირველი გამოცემა. წიგნის კონკურსზე წარდგენა შესაძლებელია

მხოლოდ გამომცემლობის მიერ.

გამომცემლობებმა თითოეულ წლიწლიაში შეიძლება, წარადგინონ არაუმეტეს ხუთი წიგნისა.

კონკურსის შედეგებს აფასებს მწერალთა სახლის მიერ შერჩეული კონფიდენციალური ფიური, რომელიც 5 წევრისგან შედგება. ყიურის შემადგენლობა ყოველწლიურად შეიცვლება და მასში შევლენის მწერლები და ლიტერატორები, რომელთა ნაწარმოებიც ამ წელს საკონკურსოდ არ განიხილება. გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება ფარული კენჭისყრით.

განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა 2015 წლის 25 დეკემბერი.

მოკლე სიას ფიური 2016 წლის მარტის ბოლოს წარადგენს.

კონკურსის გამარჯვებულები კი 2016 წლის მაისში,

საზომიმ დაჯილდოების ცერემონიალზე, გამოვლინდებიან.

გამომცემლობებმა კონკურსში მონაწილეობისთვის მწერალთა სახლის

მისამართზე (მაჩაბლის ქ. 13) უნდა წარმოადგინონ:

- განაცხადი, საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით, მწერალთა სახლის დირექტორის, ნატალია ლომოურის სახელზე;
- საკონკურსოდ შერჩეული წიგნები (3 ეგზემპლარად).

ელექტრონული წიგნების წარსადგენად განცხადება, ინფორმაცია და

წიგნის ბმული მოგვაწოდეთ ელ. ფოსტაზე info@writershouse.ge.

დამატებითი შეკითხვებისთვის დაგვიკავშირდით info@writershouse.ge.

ტელ: +99532 297 41 01; 297 41 02

ნახე, ერთმანეთს დაემთხვა შენი შემოდგომა და ჩემი
თმა,
ნახე, ერთმანეთს დაემთხვა
ჩემი დაბადება და შენი გარდაცვალება.

ზაურ გერგედავა

ურმის პორპალი

ოფიციალურ წყაროებს ვენდე: დაბადებულხარ
მაშინ, როდესაც ურმის ბორბალი გამოიგონეს. რა დრო იყო!
ხარი სახრეს ვერ დაგტყუებდა, და ხანჯრებივით ალესილ რქებზე
შესკუპულ მტრედებს — ფრთებზე ღულუნა ბარტყები ესხათ.
მხოლოდ სამი ხმა დაგელებია, შენი ხილვებით რომ დამთვრალიყო
გვირგვინი მეფის... და დედოფალსაც
ვერ დააჭინობდა შორს დარხეული ექო ჭორების.

უცნაურობა — ფენიქსის კვერცხი იმარხავს ალბათ
ახირებულთა საბედისნერო მიქცევა-მოქცევებს:
დედის საშორან — უსასრულო გარინდებამდე.

ნეტავ განახა, როგორ იზრდება შენი ხსოვნის დღის მეინსტრიმი:
ჯერ ფეხშეუდგმელ საწმინდარებში.

რეპს ყურებში და ირწევა ჭალი.
ინთება — ქრება — ინთება — ქრება, განჯადოებულ შუქნიშანივით.
არადა, ურო ჩამცხეს გარინდულს ყიფლიბანდში.
არიალებულ ბუნგალოს თავანს ავარდა ბული.
ძალს ჩასაფრებულ კატის მრცხვენია,
რომ ვერ გავსამდი უტიფარ სარკის ჯიბრზე და მაინც:
გონს მოვდივარ და აცახ/ახებულ ხელებს ვილოკავ
მშრალ, ხაოიან ენის სავსავთ.
თაგა არ ვაცოდებ ამ კაქტუსსაც კი
— უკანასკნელად რომ გამოილო ნაყოფი — თრობის მომგვრელი სუნით.
ვქსუტუნებ, ვშვილთავ, გადათეთრება მოვასწრო იქნებ
— ბატიფებურა შავად ნაჟურის,
იქნებ გავენდო, ჩავხედო ღრმად, ღრმად გადემონებულ ორეულს სულში...
და ჩავეკითხო: მისმინე, ძმაო!
ამ ნაწყალობევ სტრიქონებს შორის, და იქით, მიღმა რა ხდება ნეტავ?
ფესვს გაიდგამს და ხორცს გამოისხამს თუ უწვდომელში
უჩინარდება შემაშფოთებელ მზარდი ზმუქუნით, და ნაკვალევზე მიმონთხეული

სისხლის ნაპერნკლებს წკმუტუნ-კრუტუნით ასვლიბავს ხროვა
გამძინვარებულ ხვადთა და ძუენის?..
იქნებ ჩავხედო, იქნებ ჩავუთქვა უიდუმალეს ამოუთქმელი,
გარდაუვალი აღსასრულის წინ.
და ხმა გაისმა:

არის აქ ვინმე, ვინც ჩვენ დაგვიხსნის, ვინც კვლავ მოახდენს ურყევ სასწაულს?!
წკაპ! აიპრიხა სიჩუმემ კუდი. აუბრჭყვიალდა წამნამი უკუნს.
ვზანზარებ. ვინვი. მხრებზე მაჯდება ორი ღაბუა მუქლურჯი ჩიტი.
გაბმულ უივილში შემოეპეპლათ ლამის ერთურთი.

არის აქ ვინმე?! არის აქ ვინმე?! – ვაბოდებ, ვყვირი.
დუმს მდუმარება. თაგა ისჯის ჩქამიც კი, უჩინარს შეთქმული ამთქნარებს უქმური.

არც თოლიები, არც მებადური, არც გამორიცულის ჯიბებს ასხივებს
ფსერს ანაწაპნი საგანძური და არც წყალზე მიმავალს ირეკლავს მიმწუხრი.
მხოლოდლა ულალ თმებში ირბად ჩანწული ნაღამევ პეპლებით
კეპლუცობს რიურაჟი — უილბლო ფასკუნჯი.

უილგლობის გეომეტრია

დიახ, არსებობს უილბლობის გეომეტრია.
და ოქროს კვეთი —
მოლალატე ქალთა მშვენიერ აღნაგობებში, მაგრამ შელოცვით,
მხოლოდ შელოცვით და მნუსხავ მზერით უშვილო ქალი მუკლად იღებს და,
ალიონს ძუძუ აუტირდება?
არა, ძვირფასო! მე მირჩევნია ვიყო მოშხამულ ისრის სამიზნე,
და საგიურეთში ვმწყემსო ხილვები — სრულიად საღი სულიერ ძმების,
და აღსარება გავანდო იმას,
ვინც მე ცოფიან ძაღლების ხროვას აღარ მომიქსევს, და არც ჭორებსაც
დამირხევს მჭვირვალ ზურგს უკან — უცებ:
— საკუთარ თავის ჩამოსახრჩობი თოკის საყიდლად ნასესხებ ფულით
აგრიალაო სახელგანთქმული ლოთების მეფე, და მოშიშვლებულ
დედოფალს თმაზე მოდებიაო ეუცრად ცეცხლი.

”
მიხეილ
ცერეთალი
საქართველოს
დაუბრუდება
“

უმბერტო ეკო: “ყოველთვის სხვები მომნონდა”

— დავიბადე პიემონტში, ვცხოვრობ მილანში და ვას-ნავლი ბოლონიის უნივერსიტეტში. მყავს ცოლი, ორი შვილი და შვილიშვილი. ფაშისტი არა ვარ, ბერლუსკონის ხმას არ ვაძლევ, სოციალ-დემოკრატი ვარ. ვიყავი სხვადასხვა კათოლიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელი, მას მერე უფალს ჩემი აღარ სჯერა. ვუშვებ “უდოლინო”-ს.

— რომელი სიტყვა მოგწონთ?

— სიგარეტი. შეიძლება, მოქმლას, მაგრამ ინტერვიუს ამის გარეშე ვერ გავუძლებ.

— მაშინ მეც მოვუკიდებ, სენიორ ეკო... საიდან მოდის ეს ვერ?

— ჩემმა მეგობარმა იპოვნა გამონათქვამთა სია, რომელსაც 600 წლის წინ იეზუიტები იყენებდნენ, ნაპოვნი ბავშვებისთვის სახელის დასარქმევად. ერთ-ერთი იყო „ეცელსის ობლატოს“, რაც ზეცის საჩუქარს ნიშავს. აქედან მოდის ეკო — სახელი, რომელიც დაარქვეს პაპაჩემს — უმამო პოეტ-ტრუბადურს. ესე იგი, მეც ზეცის საჩუქარი ვარ, იმედია, ადამიანები დამაფასებენ.

— თქვენ? თქვენ მოგწონთ საკუთარი თავი?

— არა. ჩემი სახე არ მომნონს, თქვენი უკეთესია. ყოველთვის სხვები უფრო მომწონდა.

— ბავშობაში ყველაზე მეტად ვინ გიყვარდათ?

— ბება დედის მხრიდან, რომელიც პირველი იყო, ვინც დიდი კულტურული გავლენა იქონია ჩემზე. ამ ქალს კულტურისა სრულიად არაცერი გაეგებოდა, მაგრამ გიუდებოდა კითხვაზე. საოცარ წიგნებს მაძლევდა ნასაკითხად: ბალზაკს, ტოლსტოის ან სრულიად უვარგის წიგნებს, რადგან მათ შორის ვერავითარ განსხვავებას ვერ ხედავდა.

— ას გიარა ომბა?

— ომი მშვენიერი გამოცდილებაა, რადგან თავის გადარჩენას სწავლობ. 11 სექტემბრის მერე დაბნეულ ადამიანებს გხედავ. მე თვითონ დაბნეულობაში დავიბადე და ვისწავლე, რომ ამ ვითარებაშიც უნდა შეგეძლოს ცე-ოვრება.

— არ გვშინიათ?

— ერთადერთი, რისაც მეშინია — ალცენიერის დაავადებაა. მესიერების დაკარგვა საკუთარი “მე”-ს დაკარგვაა. ყველა სხვა ხიდათი მეორადია. ამიტომ, როცა პირსპირ ვრჩები რეაგირებისათვის, რომელიც მეუბნება, რომ რეინგრანაცია მეტის და შეიძლება, ვთქვათ, ძროხად მოვევლინ ქვეყნიერებას, ვკითხულდ: “როგორ ძროხად? მემასლოვრება, რომ უმბერტო ეკო ვიყავი?” თუ შეიძლება, დადგითად უუბასუხო ამ კითხვას, საწინააღმდეგო არაფერი მაქს.

— ძალაუფლება თუ გსურთ?

— არა. მე მინდა ავტორიტეტი მქონდეს, რომ ნების-მიერი ამბობდეს: “ეკომ ამა და ამ წიგნში ესა და ეს თქვა და მართალია.”

— სექსზე რას იტყვით?

— ბევრი რამ ვისწავლე, მაგრამ არ გიამბობთ, რადგან პატივს გცემთ.

— ჩემზე ნუ ნუხდებით.

— ჩემი აზრით, სექსი ძალიან სასარგებლო რამაა. მისი წყალობით გამიჩნდა ორი შევილი, რომელიც ძალიან მიყვარს, მერე შვილიშვილი, ისიც ძალიან მიყვარს. სექსს დიდ პატივისცემით ვეკიდები.

— რადგან სიცოცხლის გაგრძელების საშუალება მოგცათ?

— და კიდევ იმიტომ, რომ სახალისოა.

— თქვენ აზრით, რომელი ასაკია სასკოლენის?

— ჩემი ასაკი, რადგან ყველაფერი მტკიცა, მამტკრევს და სხეულს უკეთ ვერძნობ.

— თქვენ გვინიათ, რომ ტკივილისგან შეიძლება რამე ისნავლო?

— ერთ-ერთი ყველაზე დიდი მონაპოვარი გამოცდილებაა, და ძალიან მიხარია, რომ მოვახერხე ამის დაგროვება. ერთ-ერთი მიზეზი, რატომაც სიკვდილი არ მინდა, ისაა, რომ არ მინდა, ჩემი გამოცდილება დაიკარგოს. შეიძლება, ამიტომაც იწერება წიგნები.

— თქვენ ამბობთ, ადამიანს უტოპიური სტირდებათ.

თქვენი უტოპია როგორია?

— ყველა ქალაქში იყოს ბარი, სადაც ზედმეტი კითხვების გარეშე მომიტანენ ყინულიან მარტინის, რადგან ეცოდინებათ, რომ მიყვარს.

— შეიძლება თუ არა, რომ დიდებამ ადამიანს სახე

დააკარგვინოს?

— უბრალოდ, დიდებას სერიოზულად არ უნდა მოეკიდო. ძალიან მიხარია, თუკი ადამიანები ჩემს წიგნებს კითხულობენ, თუმცა ამას გარკვეულ უხერხულობაც ახლავს. ამის საფასური იქნება ჩემს მეგობრებთან ერთა უფრო ხშირად სეირნობა.

— ცინიზი თუ ზრდის ადამიანს?

— ჩემ სიცოცხლის გახანგრძლივება შევძელით და ეს ძალზე მნიშვნელოვანია. გულზე გვხვდება მშეერთი აფრიკელი ბავშვების ამბავი და



ბევრი სხვა რამ, რაზეც 200 წლის წინ არავინ დარდობდა. არა მგონია, რომ ახლა უარესები ვუყოო.

— თქვენ მითოლოგიურ პერსონაჟებზე ნერდით ჯადოსნური სამყარო გაინტერესებთ?

— დიახ, მაგრამ კიდევ ნაყინიც მიყვარს. ჩემი აზრით, ისინი, ვისაც ზედმეტად სჯერათ ჯადოერობის, ცუდი ადამიანები არიან, კველა ფაშისტია.

— მაგას რატომ ამბობთ?

— იმიტომ, რომ ვიცი.

— კარგი, დროის დინებაზე ვილაპარაკოთ, ამაზე ბევრს ნერდით.

— გაზეთებში არ ღირს ლაპარაკი არც დროის დინებაზე, არც ღმერთზე, არც სიყდილზე.

— კეთილი, მაშინ იმაზე ვილაპარაკოთ, რამაც შეგძრაოს.

— პირველად რომ ვნახე მევდარი. ეს ომის დროს მოხდა, ქუჩაში ვნახე, ტყვით შუბლებაზერეტილი. მაგრამ მგონია, რომ ცხოვრების საიდუმლო ისაა. რომ ყველაფერი, რაც თავს გადაგხდება, გულისშემძვრელი უნდა იყოს. მძაფრი განცდების გარეშე პროგრესი არ არსებობს.

— მოზრდილი რამ ვეგძრათ?

— მამაჩემი გარდაიცვალა, როცა ჩემი შვილი დაიბადა. ამ დამთხვევამ ისე შემცვალა, რომ მთელი წელიწადი თვითმფრინავში არ ჩავმჯდარვარ. უეცრად მამაჩემად ვიქეციო.

— რა ისწავლეთ მამისგან?

— უნდობლობა. ბრძანდ არასოდეს არ მჯერა ის, რასაც ამბობენ.

— რით შევიძლოთ, იამაყოთ?

— მე და ჩემმა საუკეთესო მეგობარმა, დიპლომი რომ მივიღეთ, ვთქვით: “ახლა რა ვენათ? — წიგნი უნდა დავწერ-ერთ და ბავშვი ვიყოლიოთ — ეს ორი რამაა, რაც სიკვდილს ამარცხებს.” ჩემს მეგობარს ერთი ქალიშვილი ჰყავს და 15 წიგნი აქვს დაწერილი. მე — ორი შვილი და 40 წიგნი. ბედნიერები ვართ.

— რა არის აუცილებელი, რომ მთელი ცხოვრება ერთ ქალთან გაატარო?

— ეგ იმას უნდა ჰქითხოთ, ჰა-ჰა.

— თქვენ არაფერი გაგიკეთებიათ?

— მთავარი ერთგულებაა. კარგი ქმარი არ ვყოფილ-ვარ, მაგრამ ერთგულებას ვაფასებ.

— სიკვდილი არ გაშენებთ?

— ჩენენ, ფილოსოფოსებს, გეესმის, რომ ცხოვრება სიკვდილისთვის მზადება, მაგრამ მინდა, რომ ბოლო წუთს ლამაზი სიტყვები ვთქვა.

— უკვე მოიფირებთ?

— უკვე ავარჩევ, რისა ამოტვიფრა მინდა ჩემი საფლა-ვის ქაზე — ესათ უკანასკნელი სიტყვები კამპანელას დიალოგიდან “მზის ქალაქი”: “მოიცა, მოიცა — არ შემიძლია, არ შემიძლია”.

თარგმანა ნინო ქაჯაიაზ

ბოლო წლების ჩანაწერები

სიცოცხლე

ბალახზე წამით მოციმციმე ცვარი.

ონომასტიგა

ეს სიტყვა სახელოა წარმოებას თუ სახელდებას ნიშნავს ბერძნულად.
რუსები დიდხანს „ტიფლისად“ ("8D;8A") იხსენიებდნენ თბილისს.

Tuflov (ტიფლოს) „ბრძანა“ ნიშნავს (ესეც ბერძნული სიტყვა).

ბრძანის მეტი ვინ მიეკედლებოდა ჭიჭინებითა და ხამსებით მუცელამოუყორავ ვეშაპს?
(თუმცა ვითარება იყო ისეთი).

„თანასწორობა“

უფლებრივი თანასწორობა ქონებრივი უთანასწორობის პირობებში წმინდა წყლის ფიქცია.

დისპროპორცია

ბრძენების ერთი დღე ბრძენის ას წელზე მეტია.

Sic transit gloria mundi

როდესაც არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ეგვიპტის ძლევამოსილი ფარაონის – რამზეს II-ის (1317–1251 ძ. წ. ა.) დაბალზამებული გული, გაზეთ „ტაიმსის“ ფურცლებში გახვეული, ეტლით ჩაიტანეს ქაიროში. საბაჟოს მოხელემ აწონა და რაკი ტარიფთა ცხრილში შესაბამისი ნიხრი ვერ გამოუძებნა, პირობითად მიუსადაგა გამხმარი ვირთევას შეტანისთვის დაწესებული ფასი.

ბრძენებაცზე „ბრძენი“

ვინც არაფერი არ იცის, არაფერში არ შეცდებაო, – უთქვამს მენანდრეს.

სადაც

აბრეშუმის სადაც სადაცედვე რჩებაო, – უთქვამს XVIII საუკუნის ერთ ინგლისელ ავტორს.

„საბჭოეთის დიად ქვეყანაში“ ტირანული რეჟიმის მომხრე ხელოვანთა სადაც აბრეშუმისა იყო, რეჟიმის მოწინააღმდეგეთა კი – რეინის.

წალმა-უკუდა

ებრაელებმა წალკობად აქციეს უდაბნო.

ჩვენ – პირიქით.

სიკვდილი

მისი სიკვდილი, ვინც უკვდავ საქმეს აკეთებს, ყოველთვის ნააღმდევიაო, – ამბობს პლინიუს უმცროსი.

მესსიერება

სულის საპტემბრო.

შეკითხვა მჭედელს

რა უფრო მალე ცვდება – ურო თუ გრძელდნი?

დღევანდელობა

„დაყოვნება სიკვდილისა პეაესო“, – უთქვამს პეტრე დიდს.

მოელი ჩვენი დღევანდელი ყოფა სხვა არა არის რა, თუ არა დაუსრულებელი ყოფმანი და, მაშასადამე, დაყოვნება.

სიკვდილად მიწურვილი სინამდვილე.

გასწავლებელი

(ფრაგმენტი ნიკოლოზ რეინისის ესესედან „სინათლის სამეფო“, სადაც ავტორი
ამ სიტყვებს მოიხმობს აღმოსავლური წიგნიდან – „ცეცხლოვანი სამყარო“)

„სირცხვილი იმ ხალხს, სადაც მასწავლებლები ცხოვრობენ სიღარიბესა და გაჭირვებაში. სირცხვილი ყველას, ვინც იცის, რომ მის შვილებს ასწავლის ულუმაბურო და გაუძედურებული ადამიანი. არა მარტო სირცხვილი ხალხს, რომელიც არ ზრუნავს მომავალი თაობის მასაწავლებლებზე, არამედ – უზრდელობის ნიშანიც. განა შეიძლება ბავშვები მიანდო დაბეზავებულსა და დათრგუნვილ ადამიანს? განა შეიძლება არ იცოდე, რომ დათრგუნვილი სული აღტაცებას ვერ გამოიწვევე? განა შეიძლება მასწავლებლობა უბადრუკ საქმიანობად მიგაჩნდეს? განა შეიძლება ბავშვების სულის გასხივოსნება, თუ სკოლა იქნება დამცირებისა და შეურაცხოფის ადგილი? განა შეიძლება მოელოდე გულანოებულთა სიხარულს, როცა დუმს სული? ამას ვამბობ და ამას ვამტკიცებ: ხალხი, რომელმაც დაივიწყა მასწავლებელი, თავის მომავალსაც ივიწვებს. ფუჭად ნუ დაგარგავთ დროს, რათა აზრი ვაზიაროთ მომავლის სიხარულს. ახლოვდება დრო, როცა სული უნდა ხათობდეს და ხარობდეს ჭეშმარიტი შემეცნებით“...

ვწერ ამას და თანაც მწარედ ვფიქრობ: შეაყარე კედელს ცერცეო.

აქვე მინდა მოვიხმო ცნობილი ამერიკელი სწავლულის აღფრედ უთლესის სიტყვები: „გერცერთი დამპყრობელი ვერ შეძლებს შეცვალოს მასების არსი; ვერცერთი სახელმწიფო მოღვაწე ვერ შეძლებს მოწიფულთა იმ თაობების იდეებსა და შესაძლებლობებზე მაღლა ასწიოს მსოფლიმედველობის დონე, რომლებთანაც მას საქმე აქვს. მაგრამ მასწავლებელს – ამ სიტყვას მე ყველაზე ფართო მიწურებლით ვხმარობ, – შეუძლია გაცილებით მეტი, ვიდრე დამპყრობლებს და სახელმწიფოს მეთაურებს. მასწავლებლებს შეუძლიათ შექმნან ახალი წარმოსახვა და გათავისუფლონ კაცობრიობის ფარული ძალები“.

პარალელური აზრები

სენეკა, „ქველმოქმედებისათვის“, II, 6: „რა ტებილია და ძვირფასი ქველმოქმედება, როცა ქველმოქმედი არაფერს იღებს სანაცვლოდ, და როცა გასცემს, მყის ივიწყებს, რომ გასცა“.

გარეუს ავრელიუსი, ფიქრები, VII, 73: „თუ შენ პეტენ სიკეთე, ხოლო შენმა მოყვასმა მოისოთვლა ნაყოფი მისი, რაღას დაეძებ, რეგენტთა მსგავსად, რაღაც მესამეს, რასაც კეთილმოქმედის სახელსა თუ სიკეთის ჯილდოს უხმიდებ კაცნი?“

მათე, სახარება, VI, 3: „ხოლო შენ, რაუმს პყოფე ქველის საქმესა, ნუ სცნობ მარცხენე შენი, რასა იქმოდის მარჯუენე შენი“.

აბსოლუტური მზერა

არ შემშლია: არა მარტო აბსოლუტური სმენა, აბსოლუტური მზერაც არსებობს თურები.

სახელგანოტემულ ინგლისელ მხატვარს ჯოშაუ რენოლდს (1723–1792) ჰყოლია ერთი შეგირდი, რომლისთვისაც საქმარისი იყო ნახევარ საათს დაკვირვებოდა მოდელს, რათა შემდეგ, მისოფის თვალშეუბლებლად, აბსოლუტური სიზუსტით გადაეტანა ტილოზე თვით უმცირესი დეტალიც კი.

თუმცა აბსოლუტური სმენის პატრონისაგან განსხვავებით თავისი უნიკალური ნიჭი ძალიან ძვირად დასჯდომია საბრალოს: კარგა ხნით საგიუვთში ამოუყვით თავი.

Similitudo3

დრო უფრო სწრაფად გადის ლხინსა თუ სიხარულში, ვიდრე მწუხარების უამს ან მოლოდინში.
ისევე, როგორც სხვადასხვაა მთის მდინარის დინება სათავესთან და შესართავთან – გაშლილ ტრამალზე.

აუტოსკოპია

ეს ბერძნული სიტყვა „თვითხილვას“ ნიშნავს.

ერთ ჩემს ძველ ჩანაწერში: "S et O" – „სუბიექტი და ობიექტი“ – ვაითხელობობთ:

„წარმოიღვინეთ ქანაში მიმავალი ადამიანი, ვის შესახვედრადაც მისივე თრეული მოქმარება.

ეს შეიძლება თავზარდამცემი და საბედისწეროც კი აღმოჩნდეს მისთვის“.
თავისი ორეულის ხილვა მართლაც რომ საბედისწერო შეიქნა რუსეთის იმპერატორის – ეკატერინე II-სათვის...
ერთხელ, თავის ბადში მუშაობისას, – წერს დოქტორი ედვარდ პოლოლსკი, რომელიც კრებს და იკვლევს ამნაირ ფაქტებს, – ქალაქ სიეტლში მცხოვრებ სემიუელ ჭ-ს დაუნახავს თავისი ორეული, განსაცვიფრებელი სიზუსტით რომ იმეორებდა მის მოძრაობებს.
შინ დაბრუნებულ ფრანგ მწერალს გი დე მოპასანს თვალი მოუკრავს სავარძელში მჯდომარე მისი საკუთარი ორეულისთვის; გაოგნებული კარგი ხანს ვერ მოსულა გონის.
თავისი საკუთარი ორეული დაულანდავს გოეთესაც სტრასბურგის გარეუბანში.

S=O

სუბიექტი უდრის ობიექტს. ამ უწევეულო ტოლობას ადამიანის ცხოვრების „ოქროს ხანაში“ – ბაქტერიაში გადავყავართ, ფერიულ სინამდვილეში, სადაც რეალობა უშეალოდ ერწემის წარმოსახვას; სადაც მზე „იცინის“ ან „პირს იპანეს“ და ცისარტყელას ფერებით ვალერისება მზერას; სადაც ხეები კი არ შრიალებენ, არამედ „მდერიან“ ქარში, ხოლო მდორე მდინარე თავისით კი არ მიედინება, არამედ „თევზებს მიპავთ“...

ეს არაა გრძნობებით აღქმადი და შემცნებით საწვდომი სამყარო, ობიექტებად განსხვაულებული და სამუდამოდ ჩამქრალი ჩვენთვის.
დაკარგული სამოთხე.

სული

„სული სუნთქვაა დვოისაო“, – ამბობდა წმიდა გრიგორ ნაზიანზელი.

ცრემლი და სიცილი

მტრისაგან დარბეულ-დაქცეული და დაქცმაცებული ქვექნის შვილს, თუნდაც პირადად ბედნიერს, ისევე არ შეშვენის სიხალისე, სილადე, ლხენა, როგორც მოქედებეს – სიცილი.

აკი ეპლესიასტეც ბრძანებს:

„ჟამი არს ტირილისა და ჟამი სიცილისა, ჟამი ტყებისა 4 და ჟამი როკისა „...
დღეს სწორედ „ტირილისა და ტყების“ ჟამია.

პარალელური აზრები

პოლ ვალერი. „რელიგია რომ არ არსებულიყო, ალბათ, არც მეცნიერება იარსებებდა, ვინაიდან ადამიანის თავი ვერ შეძლებდა აბსტრაქტობას იმ უშეალო და მუდმივი ემპირიზმისგან, რასაც მას უსაზღვრავს რეალობა“.

ემილ დიურკეიმი. „არ არსებობს ისეთი რელიგია..., იმავდროულად კოსმოლოგიაც რომ არ იყოს. ფილოსოფია და მეცნიერებები რელიგიიდან იშვნენ, რადგანაც რელიგია იმთავითვე ენაცვლებოდა მეცნიერებას და ფილოსოფიას“.

ოლიმპიადა

ბოლო ოლიმპიური თამაშები ჩინეთში ჩატარდა.

ტელევიზორი გვიჩვენებს ოლიმპიადის საზეიმო გახსნას.

ახოვანი სპორტსმენები კოლონებად დარაზმული მობიჯებენ. გრგვინავს თრკესტრი.

გადავწყვიტე, ბოლომდე მეყურებინა და თავი შემემოწმებინა, რა ვიცი თვითული ქვექნის შესახებ, ან ვის ვიცნობ, თუნდაც მხოლოდ სახელით, მის სახელოვან შეიღოთავან.

როგორც მახსოვეს, 104 ქვეყანა დავთვალე.

ოციოდე ქვექნის გამოკლებით, მთელი დანარჩენი მსოფლიო ჩემთვის "terra incognita" 5-დ დარჩა.

მწარედ ჩაფიქრებული გადავწვდი საქართველოს.

დავუშვათ და კველა ქვექნაში ერთი კაცი მაინც თუ უყურებს-მეთქი ამ ცერემონიალს ჩემი თვალსაზრისით?

რამდენ დიდ ქართველს გაიხსენებდა თვითული მათგანი?..

ბოლო ორასი წლის მანძილზე „თეთრი ვეშაპის“ მიერ შთანთქმულთ ზანგად გვიხსენებს მთელი დანარჩენი მსოფლიო.

ზანგად, ნელ-ნელა და თანდათან.

vice versa

გეშინოდეს სიცოცხლის და არა სიკვდილის.

„უჩინარი“ დმერთი

მშვენიერია ჰანს დენკის სიტყვები, მოხმობილი თლდოს ჰაქსლის მიერ მის არანაკლებ მშვენიერ წიგნში „მარადისი ფილოსოფია“:

„ო, დმტრიო ჩემო, რა ხდება ამ საწყალ ბებერ სამყაროში? შენ ისე დიადი ხარ, მაგრამ ვერავინ გამჩნევს; შენი ხმა ისე მქუსარეა, მაგრამ არავის ესმის, შენ ისე ახლოს ხარ, მაგრამ ვერავინ გრძნობს; შენ ეძლევი როგორც კველას, ისე თვითული ცალ-ცალეკ, მაგრამ არავინ იცის შენი სახელი; ხალხი გაგირდის და თანაც ამბობს, რომ არავის უნახავს შენი კვალი; ზურგს გაქცევენ და თანაც დრტვინავენ, რომ ვერავინ ვერ მოგერა თვალი; უურებს იცობენ და თანაც ამბობენ, რომ შენი ხმა არავის ესმის“.

ორმაგი ხედვა

ვინც ადამიანის სულს იკვლევს, მისთვის თანაბრად საჭიროა არწივის მზერაც და თხუნელას თვალიც.

ფსიქოანალიტიკოსებს კი მხოლოდ თხუნელას თვალი აქვთ.

(კარლ იასპერს სმოფლიო კულტურის ანგაგონისტურ მოვლენად მიაჩნდა ფსიქოანალიტიკოსთა მეთოდოლოგია, რომელიც ადამიანის სორციელებათა თუ ქმენა გრძნობათა ამსოდებულისაციას ახდენს).

წილადი

ტოლსტიო წილადით გამოხატავდა ადამიანის ფასსა და ლირებულებას: მრიცხველი ისაა, რადაც ის ჩანს სხვების თვალში, მნიშვნელი კი – ის, რადაც თვითონვე მიიჩნევს საკუთარ თავსო.

„ადგილზე ნაბიჯით იარრო!“

„ვერ გაგიგია, ამირან,

არგამარჯვების ნიშანი?

მესამედ იქნე მოვედით,

გუშინ რომ დავკარ ისარი!“

ხალხური „ამირანდარეჯანიანი“

მესამედ კი არა, მოდით, დავთვალოთ, რამდენჯერ მივედით ერთსა და იმავე ადგილას ერთ საუკუნეზე ნაკლები ხნის განმავლობაში:

1. 1918 წლამდე მეფის რუსეთის კოლონია ვიყავით; 2. მოვიდნენ მენშევიკები; 3. მოვიდნენ ბოლშევკიკები; 4. მოვიდნენ ზვიადისტები; 5. მოვიდნენ ედუარდისტები; 6. მოვიდნენ მიშისტები... ვინ იცის, კიდევ ვინ მოვა?..

იარლიების ცველა დაინის ბოლოზე.

ჩვენი უახლესი ისტორიის საქმე ისეა, როგორც დიდი ფრანგი პოეტი და მოავლენება მავანზე:

„უმრავდესობა თავისი განვითარების საწყის ეტაპზე ჩერდება; მათი სულის მოედი სიცოცხლე სხვა არა არის რა, თუ არა დასაწყისთა ერთობლიობა“. – პოლ ვალერი.

მოჯადოებულ წრეში ტრიალი წინსვლა არ არის.

ან გავგლეჯო ამ წრეს, ანდა...

პარალელური აზრები

პლოტინი, I, 8, 3; 8, 7. „ბოროტება ერთგვარი სახეა არარსისა. რაკი არსებობს არა მარტო სიკეთე, ამიტომ საგანთა უსასრულო სიმრავლეში, რომლებიც მისგან იდებენ დასაბამს, ან, თუ გნებავთ, მისგანვე გამომდინარებენ და თანდათან მოდინებით შორდებიან მას, – აუცილებლად უნდა იყოს უკანასკნელი ზღვარი, რომლის იქითაც აღარაფერი აღარ შეიძლება დაიბადოს; ეს უკანასკნელი ზღვარი ბოროტებაა..., რომელსაც უკვე არავითარი წილი აღარ უძვეს სიკოთეში. სწორედ ესაა ბოროტებას გარდუვალობა“.

ნეტარი ავგუსტინე, „ადსარებანი“, III, 7. „პოროტება სხვა არა არის რა, თუ არა სიკეთის უქონლობა, სიკეთის დამცრობა და დაკინიხება სრულ გაქრობამდე“.

„სტუმარ-ზასპინძელი“

პლუტარქე გადმოგვცემს:

ალკიბიადეს პერიკლეს ნახვა უნდოდა და ათენელთა თავკაცის კარს მიადგაო.

შესახურმა მოახსენა, ბატონს არა სცალია: ანგარიში უნდა ჩააბაროს თანამოქალაქეებს და ახლა სწორედ ამაზე ფიქრობსო.

მომავალმა ტირანმა უარი იუკადრისა და მსახურს შეუდრინა: არ ერთია, იმაზე ეფიქრა, რომ საერთოდ ადარ სჭირდებოდეს ვინმესთვის ანგარიშის ჩაბარება?

ბუნების კანონები

ამერიკის კონტინენტი რომ არ არსებულიყო, როგორ შეძლებდა კოლუმბი მის აღმოჩენას?

ასე, მეცნიერებიც კი არ ქმნიან ბუნების კანონებს, არამედ მხოლოდ აღმოჩენენ მათ.

თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ ეს კანონები ჯერჯერობით წვეთია ზღვაში, რადგან ჩვენ დღესაც მხოლოდ ენის ბორივით ვკითხულობთ და რის ვაივაგლახით ვეუფლებით ბუნების დაშიფრულ ანბანს.

ჯერჯერობით – მხოლოდ ანბანს.

სინათლეს წონა აქვს:

გრავიტაციული ველი მის გადახრას იწვევს.

დრო და გრავიტაცია

გრანდიოზულ ციურ სხეულებზე, რომელთა გრავიტაციული ველი გაცილებით უფრო მძლავრია, ვიდრე დედამიწისა, დრო უფრო ნედა მიედინება, ვიდრე ჩვენს ალანეტაზე... 1975 წელს კი მერილენდის უნივერსიტეტის ფიზიკოსმა კეროლ ელდიმ ცდით დამტკიცა, რომ დროის დინებას თვით დედამიწაზეც სხვადასხვა სიჩქარე აქვს, რაც ადგილობრივ გრავიტაციულ პირობებზეა დამოკიდებული.

სიკვდილ-სიცოცხლის ზღაპარი

სიკვდილი უსიზმრო ძილია.

სიცოცხლე – უძილო სიზმარი.

ბრძენი

ჩვენ ფეხით ვქელავთ მიწას, ბრძენი კი თავით დასეირნობს მოქლ სამყაროში, რომლის ერთი, ერთადერთი ატომიც არ არის მიწა.

კონფუციის შეგონებებიდან

ნუ სწავლარ, ხალხი არ მიცნობს, არამედ წუხედე, რომ შენ თვითონ არ იცნობ ხალხს.

„შესაქმის გვირგვინის“ ფასი

ერთმა ამერიკელმა მეცნიერმა სათოთაოდ გამოიგადა, რა რაოდენობით შედის ადამიანის სხეულის შედეგინილობაში სხვადასხვა ქიმიური ნივთიერება თუ ელემენტი (წყალი, რეინა, კალციუმი და სხვ).

შემდეგ ასევე სათოთაოდ გამოიანგარიშა მათი ფასი.

ჯამშა შეადგინა 23 ცენტი.

პარალელური აზრები

ფრანჩესკო პეტრარკა. „ყველაზე დიდი გატაცებით მე ვერაფებოდი წარსულის შესწავლის, ვინაიდან ჩემი დრო ყოველთვის ისე მიუღებლად მიმართდა, რომ თუ არა ჩემი სიყვარული ახლობლების მიმართ, აუცილებლად ვისურვებდი სხვა დროში დაგბადებულიყავთ; და რათა დამევიწყებინა ეს ჩემი საუკუნე, ვცდილობდი სულით მათიც მეცხოვრა სხვა ეპოქებში“.

არტურ შოპენპაუერი. „ჩემი საუკუნე ჩემი მოღაწეობის სფერო კი არა, მხოლოდ საყრდენი ნიადაგია, რომელზედაც ჩემი ფიზიკური არსება დგას; ეს უკანასკნელი კი მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია მთელი ჩემი არსებისა, მრავალ სხვა პიროვნებასთან ერთად რომ ინაწილებს ამ ნიადაგს, რომელიც მათი მოღაწეობის სფეროდ გვევლინება. ამიტომ მეც მათვე ვანდობ ამ უკანასკნელისთვის ზრუნვას და ბრძოლას“.

ხოსე ორტეგა ი გასეტი. „ჩვენ ამა თუ იმ ეპოქას ვერაუზნით მხოლოდ იმდენად, რამდენადაც შეგვიძლია მისი დილექტი და ვიბროლორ მის მიერ გათხრილი სანგრის ერთ მხარეს“.

ნეანდერტალები – თანამედროვე ადამიანის შორეული წინაპარი, პიოერანთროპის (ადამიან-მაიმუნის, ან, უფრო ზუსტად – მაიმუნ-ადამიანის) შთამომავალი. აღმოჩენილ იქნა 1856 წელს დიუსელდორფის მახლობლად, ნეანდერტის ხეობაში. დიდი ფრანგი ბიოლოგი და ფილოსოფოსი პიერ ტერარ და შარდენი შემდეგნირად ახასიათებს ნეანდერტალებს:

„ვერაფებრივი, წაგრძელებული თავის ქალა, დაბალი შებლი, მასიური და გადმოკარებული ორბიტები, სახის ჯერ კიდევ საგრძნობი პროგნათიზმი.7 საეშვე ბუდეებისა და ნიკაპის უქონლობა. მასიური კბილები, მათ გვირგვინისა და ფეხს შორის შესამჩნევი ყელის გარეშე“...

და კიდევ ერთი პასაჟი ტერარ და შარდენის წიგნიდან „ადამიანის უქონები“: „მას შემდეგ, რაც დასავლეთ ევროპაში აღმოჩენეს პირველი „მუსტიერული“8 თავის ქალები და დაადგინეს, რომ ისინი არც იდიოტებს ეკუთვნიან და არც დეგენერატებს, ანატომისტებმა საგვარეულოებით ბუნებრივად წარმოიდგინეს, რომ შეა პალეოლითის დროში დედამიწა დასახლებული

უნდა ყოფილიყო ადამიანებით, ზედმიწევნით რომ შეესაბამებოდნენ ნეანდერტალების ტიპს“...

აქ ძალაუქებურად გახსნებების ისტორიის ერთი კურიოზული ფაქტი: როდესაც პირველად აღმოჩენების თანამედროვე ადამიანის შორეული წინაპრის – ნეანდერტალების ნამარხი ნაშთი (თავის ქალა), მისი უცნაურობით გაოგნებულმა ერთმა ცნობილმა სწავლულმა ასეთი ვარაუდი გამოითქვა: ეს, როგორც ჩანს, ნაკოლეონის არმიასთან ერთ-ერთი შეტაკებისას დაღუპული რუსი კაზაკის თავის ქალა უნდა იყოს.

ნუთუ?

როდესაც იაპემ ადამი შექმნა, სამოთხეში დაამგვიდრა „და ამცნო უფალმან დმერთმან ადამს, მეტყულებმან: ყოვლისაგან ნისა სამოთხისა ჭამით სჭამით, ხოლო ნისაგან ცნობადისა ბავშვის წარილისა და ბოროტისა არა სჭამით მისგან, რამეთუ რომელსა დღესა სჭამით მისგან, სიკუდილით მოჰყდეთ“ („შესაქმე“, II, 16–17).

მაგრამ ადამიანმა ვერ გაუძლო ცოტნებას, ვერ მოორკა ცნობისწადილი, ცნობადისა ნის ნაყოფს წაეპოტინა და თავიც დაიღუბა და ჩვენც დაგვალება.

ანკი როგორ უნდა გაეძლო, როცა, არის ტოტებულების თქმისა არ იყოს: „*pavnte*“ ის ა [nqrwpoi tou] *ei jdevnai ojrevgontai fuvsei*® – „ყველა ადამიანი ცოდნას მიელტგის ბუნებით“.

ძალაუქებურად იბადება კითხვა: ნუთუ ებრაელთა დმეროს არ უნდა სცოდნოდა ის, რაც იცოდა ბერძენთა ფილოსოფოსმა?..

პროცესია

სტენდალის კუბოს სამი კაცი მიაცილებდა; აინშტაინისას – ათი.

„ნადიორი“

„მე დავდივარ, როგორც დადის ნადირი, როცა ნადირობა ნებადაროთულია“. – რაინერ მარია რილკე.

გენიოსი

„ყოველთვის გენიალურია თუ არა გენიოსი?“ – კითხულობს პოლანდიული კომპოზიტორი და მუსიკისმცოდნებ ელმერ შოონბერგერი.

– არა! – აი, პირუტყენები პასუხი.

გავისეხნოთ პორაციუსის კლასიკური ფორმულა: "...Quandoque bonus dormitat Homerus", – „კეთილი პომეროსიც თვლემს ხოლმე“. – „პოეტური ხელოვნება“ ("Ars poetica", 359).

ცოომილება

"Errare humanum est", – „ცოომა ადამიანურია“; – ამბობს სენეკა.

თუმცა ცოომაც არის და ცოომაც: "Errare, mehercule, malo cum Platone, quam cum istis vera sentire", – „ვფიცავ პერკულებს, მე მირჩევნია პლატონთან ერთად ვცდებოდე, ვიდრე ამ ხალხთან ერთად ვიზიარებდე სიმართლეს“, – გმომდგრადის ციცერონი თავის „ტუსკულუმში“ I, 17, 39.

დევლი და ახალი

„ვინც რაღაც ახალს აკეთებს, ზიანს აყენებს რაღაცა ძველსონ“, – უთქვამს სტრატინების.

ერთის მხრივ რევოლუციური, მეორეს მხრივ კი დესტრუქციული ასაექტი. ეს ეხება არა მარტო მუსიკას, არამედ სელოვნებისა თუ მეცნიერების უამრავ სხვადასხვა დარგას.

რევოლუცია და რეტინა; ერთი და იმავე ფეხის ორი ტოტი.

რევოლუცია რუტინის მომავალია, რუტინა კი – რევოლუციისა.

არაპარალელური აზრები

ფრაგმენტი იბეჭის დრამიდან – „კეიისარი და გალილეებელი“, ნაწილი II, „მიპერატორი იულიანი“, მოქმედება II.

სცენა წარმოადგენს ანტიოქიის მოედანს, სადაც ურთიერთ საპირისპიროდ მიემართება ორი პროცესია – აპოლონ დმერთის აღმეტება სახეომთ მსვლელობა და მა

„რა კარგი იქნებოდა, შეგვეკრა მეგობრების – ხელოვნების ხალხის ვიწრო წრე, კირიაში ორჯერ თუ სამჯერ მიღსხვომოდით შუშეუნა დგინით მორწყულ ლაზათიან სუფრას და რომელიმე გემრიელი პოეტით ჩაგვეტებარუნებინა პირი. ესაა ჩემი მუდმივი ოცნება, არც ისე პრეტენზიული, მაგრამ, სამწუხაროდ განუხორციელებლი“ – სწრდა ფლობერი დუი კორმენეს 1814 წლის 7 ივნისს.

ზუსტად ასეთი იყო ფიროსმანის ოცნებაც, და ასევე აუხდენელი.

თუმცა ჩვენ სხვა რამ გვაინტერესებს.

არა მარტო პარალელური აზრები, პარალელური ოცნებებიც არსებობენ თურმე.

პომეროსი და რუსთველი

ჩემი ვრცელი გამოკვლევა – „პლატონი და რუსთველი“ (იხ. წიგნში – „დრო და მარადისობა“, 2006, გვ. 237–456) თვალნათლივ გვიჩვენებს, რაოდენ სრულად და საფუძვლიანად იცნობდა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი გენიალური ბერძენი მოაზროვნის შემოქმედებას.

ქართული პოეზიის სწორუპოვარი შედევრის ფურცლებზე შედარებით ძუნად გხვდებით პომეროსულ რემინისცენციებს, თუმცა „ოდისეას“ ორიოდე პასაუიც დამაჯერებლად გვიმოწმებს, რომ რუსთველისთვის უცხო არ უნდა ყოფილიყო დიდი ბერძენი ეპიკოსის პოეტური სამყარო.

1. „ოდისეას“ პირველსავე სიმღერაში ქალღმერთი აოენა ევვლება ზევსს – უკვდავთა და მოკვდავთა მამას, შეეწიოს ოდისევსს მშობლიურ კუნძულ ითაკეზე დაბრუნებაში (სადაც მას მოუთმენლად მოელიან მეუღლე და ვაჟი – პენელოპე და ტელემაქე), მწედ მოევლინოს მრავალტანჯულ გმირს, ატლანტის ასულს – ვერაგ ნიმფას რომ დაუტყვევებია „ზღვით გარემოცულ კუნძულზე, სადაც ჭიპია ზღვისა“:

®nhvsw ejn ajmfiruvth, o{qi t% ojmfðalov" ejsti galavssh®. ॒

პლატონის მიხედვით *®o [mfðalo" gðhö"* – „დედამიწის ჭიპი“ იგივეა, რაც „დედამიწის ცენტრი“.

ზუსტად ასევე, პომეროსისეული *®o [mfðalo" galavssh"* – ცენტრია ზღვისა (იხ. —@52-53@5G5A:>@CAA:89A;>20@L,A>AB028; :%. —>@5F:89, B., „1958, A. 1176).

მას შემდეგ, რაც ტარიელმა, ნესტანის ბრძანებისამებრ, „მიპარვით“ მოუსწრავა სიცოცხლე ხვარაზმას ქე, გაცოფებულმა დავარმა ჯერ ცემით დაალურჯა ძმისწული, შემდეგ კი თავის ქაჯ მონებს უბრძანა:

„...წადით, დაკარგეთ შუნ, სადა ზღვისა ჭიპია“.

და სწორედ ამით იწება ნესტანისა და ტარიელის საბედისწერო დრამა, ჭეშმარიტად ტრაგიული თავისასავალი.

2. კიდევ ერთი საგულისხმო პარალელი:

ფატმანი, ავთანდილის თხოვნით, თავის გრძნეულ მონას აგზავნის ქაჯეთის ციხეში, რათა სასისარულო ამბავი აუწყოს დატყვევებულ ნესტანს: ცოცხალია შენი სწორუპოვარი მიჯნური ჩემთან მოვიდა მისი ძმადნაფიცი – ავთანდილი, არაბთა მეფის ძლევამოსილი სასაპეტი, და მალე თრივენი გამოეშურებიან შენს დასასხველად; მხოლოდ გვაუწეს, რამდენი მეომარი ჰყავთ ქაჯებს და ვინ თავისაცობს მათ.

„ფატმან მისცა დაწერილი მას გრძნეულსა ხელოვანსა:

ესე წიგნი მიართვით ქალსა, მზისა დასაგვანსა!

მან გრძნეულმან მოლი რამე წამოსხა ზედა ტანსა,

მასვე წამსა დაიკარგა, გარდაფრინდა ბანის-ბანსა“...

აქ ჩვენ უნდა ჩავხედოთ „ოდისეას“ მეათე სიმღერასაც. ზღვასა თუ შელზე უსასრულო ხეტიალით გზაბენეული ოდისევსი და მისი მეგობრები ერთადერთი გადარჩენილი ხომალდით მიადგებიან გრძნეული კირკეს (ძველი კოლხეთის მითიური მეფის – აიეტის დის, მედეას მამიდის) სამფლობელოს – კუნძულ აიას, სადაც ორად იყოფიან: ერთი ჯგუფი, ევრილოქეს თავისაცობით, კუნძულის სიღრმეში შედის, მეორე კი, ოდისევისთან ერთად, ზღვის პირას რჩება.

კირკე სიხარულით ეგებება კარს მომდგარ სტუმრებს და გულუხვად უმასპინძლება, მაგრამ ნაქებ პრამნოსურ დვინოს მალულად შეურევს ჯადო-საწამლავს, მერე თავის ჯადოსნურ კერთოს საოთაოდ გადაჯრავს ყველას და დორებად ქცეულო საღორეში შერევავს. გადარჩა მხოლოდ ევრილოქე, რომელსაც გულმა თუ გუმანმა უგრძნო ხიფითი, მეგობრებს არ შეჰვა გრძნეული მასპინძლის სასახლეში და სასწრაფოდ გაეშურა ოდისევისკენ, რათა სევდავსილი მეგობრების გასაჭირო შეეტყობინებინა მისთვის.

მეგობრების დასასხველად მიმავალი გზაში ჰყერმესი შემოეყარათ, ოქროსთმიანი ჭაბუკის სახით, რომელმაც ასწავლა ოდისევსს, როგორ უნდა დაეხსნა თავი გრძნეულის ჯადოსაგან. მერე მიწიდან უცნაური, შავფეხვიანი და რძისფერყვავილიანი ბალახი „მოლი“ (*mwölu*) ამოთხარა, რომლის მეშვეობითაც ოდისევსმა თავი დადაღწია გრძნეულის ვერაგულ ხრიკებს, მეგობრებიც დაიხსნა და მათთან ერთად დაბრუნდა ხომალდზე...

საგულისხმო დამთხვევის მოწმენი გხდებით: ერთის მხრივ, ფატმანის გრძნეული მონა „მოლის“ (*mwölu*) ისხამს ტანზე და მისი მეშვეობით მალულად შეაღწევს ასევე გრძნეული ქაჯების ციხეში, რათა შემდეგ ტარიელმა თავისი ძმადნაფიცების დახმარებით დაიხსნას სატრფო; მეორეს მხრივ კი, ოდისევის ასევე „მოლის“ მეშვეობითი იხსნის მეგობრებს გრძნეული კირკეს ჯადოსაგან.

„ოდისეას“ მეკლევართა და კომენტატორთა ერთსულოვანი მტკიცებით, „მოლი“ (*mwölu*) ბერძნული სიტყვა არ არის. მოფიტან მხოლოდ ერთ მაგალითს: „>8-A:07>G=00 B@020... >8 A;>2>=5 3@5G5A:>5" ... ->5@, 48AA5O, !0=B-5B5@1C@3, 2000, A.486.

ბერძნული არა, მაგრამ ქართული?

უვეელ შემთხვევაში, ამ სიტყვისთვის, მრავალრიცხოვან მკვლევართა გულმოღინე ძიების მიუხედავად, ჯერჯერობით ვერავის მიუკვლევია სხვა ენებში.

ლეილა ბეროშვილი გამოზამთრება

იძნებ გრძელ, დაუსრულებელ სიზმარს ვხედავ, იქნებ თვალს რომ გავახელ, ბებიაჩემის ლამაზი მხრები დავინახო, ხორბალს ანიავებდეს ჩვენს აივანზე... მე მაგიდასთან არ ვიჯდე, ლურჯი სუფრის კალთა არ მეფინოს მუხლზე, კალამს არ ვაცოდვილებდე... ამაოდ არ ჩამოდიოდეს კომშის ყვითელი ფოთოლი, ამაოდ არ იქარგებოდეს მიწის კალთა...

აღარაფრის შეცვლას აღარ ვაპირებ... იყოს ყველაფერი როგორც არის — გამოვალებ ფანჯარას და დავინახავ დედაჩემის დარგულ ნარცისებს, გამოვალებ კარს და ჩვენი ჭროდა თუთა აალაპლაპებს ფოთლებს...

სკოლაში მიმავალი ნახირის დანახვაზე შეიძინ დობეს ავეკრობოდი... ჩემს დანახვაზე ამვლელ-ჩამვლელს სახე ღიმილით უბრწყინავდა — ალბათ კარგი დასანახია ძროხისგან შეშინებული პატარა გოგო. 'ზუ გეშინია, შვილო, არ გირქენს!...' — ტკბილად იღიმებოდა მენახირეც...

მოვავდებოდი, მაგრამ ვის დავუტოვო ყვითელი ბაირალივით გაშლილი ზაფრანის ძირი?

ღრმად შეგნებული პოზიცია უკვე სიმაღლეა — რა დასანახია ნეტავ ამ სიმაღლიდან ჩვენი ცხოვრება...

ოთახში გამეფებული სიჩუმე გამოსავალს ეძებს, ყველაფერს სიკაშაშით ავსებს — რას აღარ, ვის აღარ...

ფრაგიცულთა შორის უინტერესო ადამიანს უკანასკნელი ადგილი არ უნდა ეჭიროს...

პიტიცია, ლიტერატორთა სახლი.

ბეჭონის ფილებს შორის ხავის, ჭიქში იებით და თოლიებით დაბურული ზღვა, ყვავიან მიმოზები, ტყემლები... ხვალ ეს დღე აღარსად აღარ იქნება...

ფანჯარას ზურგით ვუზივარ, საწერი მაგიდა გადავწმინდე (აი, საქმე), გაზაფხულის სუნი იგრძნობა (ესეც საქმეა), გარეთ გულის გამაწვრილებლად კნავის კნუტი, უკლებლივ ყველა ფანჯარა მე მიყურებს...

გაჩერებაზე სილამაზით ცნობილი, დაუნანებლად დაბერებული ქალი დგას. როგორც ჩანს, მთელი ღამე გათენებას ელოდა და ამას აღარც აღარავის უმალავს...

მსხვილად დაქარგული ყვავილებიანი შავი ქიშმირის შალი შუაზე გაჭრეს, ერთი ნაწილი ერთ დას ერგო, მეორე — მეორეს... ნეტავ იქ ყვითელიყავი, შალს მაინც გადავარჩენდი თუ იმათ ცოდვილ სულებს ვერა...

უმიზეზო მწუხარება — შენი არსებობის წარმმართველი... რითაც ღმერთმა გამოგარჩია.

თითქოს ჭკვიანი კაცი იყო მამაჩემი, მაგრამ ასე არ გამოდგა — ბოლშევიზმს ნიაღვარივით მოჰკონდა არემარე, ის კი გაიძახოდა — გურჯაანის აქეთ ფეხს არ გადმოვადგმევინებო...

დიპირანან ნიკომ ჭკუა იხმარა, ომში წასულ შვილს ტანკი უყიდა. გადარჩა რომელია, სტალინის მადლობის დეპეშა, ჩარჩოში ჩასმული, ახლაც კედელზე უკიდია დიპირანან თამარას...

ახლაც ისევ ის მამა მენატრება, საიდანლაც რომ უნდა დაბრუნებულიყო, ხელში ავეტაცე და ეთქვა — ვისა ჰგავს ასეთი ღამაზი!.. და არა ეს პიჯაკნამოსხმული მორალისტი...

გურა კვარაცხელის ლექსების პირველ კრებულზე მინაწერი: ეს წიგნი სახლია, სადაც ყოველთვის გელიან — მზეში, წვიმაში, ქარში — კარგი რომ არ იყო, ხომ არ დაგელოდებოდნენ...

ცუდად დაცდილი სიზმარი.

გულწორა: ნუ მაფრთხილებს ბებიაჩემი, ვისაც თავისი ატლასის კაბებით სამზითვო საბნები შეუკერა, იმას დაესიზმროს...

ასაკილის ტოტი, გზის პირას უსურვილოდ რომ ჩამოტეხა, ყველას ძალიან მოეწონა...

ერთადერთხელ იყიდა პური, შუაზე გატეხა, ნახევარი ძალს მიუგდო, ნახევარი მაგიდის კიდეზე ჩამოდო...

პეტიჩიმის დას, ველისციხელ მაღალ ოლიკოს, ლალობის გარეშე ცხოვრება არ შეეძლო — იმის დროს მწიკვი მარილი რომ არ იშოვებოდა, ხმა გაუვრცელებია, მუკუზანში ოჯახზე თითო ვედრო მარილს არიგებენ. გავარდნილა მთელი ველისციხე ვედროების რახარუხით. მაღალი ოლიკო რომ მაღალი ოლიკო არ ყოფილიყო, ცოცხალს არ დატოვებდნენ...

მაშინაც კი, როცა ჩუმად ვიჟავი, მეკითხებოდა — რა გინდა ჩემგან?

არ ვიცი, რატომ, მაგრამ არ მიყვარს მიზანში მოხვედრილი სიტყვა და საქმე...

ტერიზიკო სახლში არ დამხვდა. მის ორ მტრედს გავხედე, არც ისინი ჩანდნენ.

მოულოდნელად გამოჩნდა ზურგჩანთითა და ძალი ტაბათი. დაბლიდან კიოდა — რა სილამაზე, რა ფერები, რა სიმყუდროვე! აფსუს, აფსუს, რომ დროზე არ მოხვედი! ვიდექი აივანზე და და ვიღიმებოდი. უცებ რატომდაც მოვიმუნები და სანამ აივანზე ამოვიდა, უკვე მოწყენილი ვიღიმებოდი...

მგელმა ვირი არ დაგლიჯოს, ბიჭო! მგელმა ვირი არ დაგლიჯოს!.. რატომ ჩამესმის დღემდე იბოლაანთ ხევიდან სუფსარქისისკენ გადაძახილი ეს ხმა?

ისე წათდება ფოთოლი მზით, შენ ვერ მიწოდებ სენტიმენტალურს...

ორმოცი არ იყო გასული, ვენახში წავიდა სამუშაოდ. რძალი არ უშვებდა — სირცხვილია, ჯერ ორმოცი არ გასულაო. ვისაც ჩემზე მეტად ეტკინა გული ჩემი ქმრის სიკვდილზე, ის დაჯდეს სახლშიო...

ჩამავალი მზე ვარაყიან ციხე-კოშებს აფენს, ალბათ ასეთ კოშეში იჯდა ნესტან-დარეჯანი...

სადარპაზოსთან ტარიელ ჭანტური შემხვდა. ხელში სანოვაგო მეჭირა. შრომამ შეექმნა ზოგიერთი ადამიანი! — იხუმრა და მეგირცხლი ნაბიჯით გააგრძელა გზა. მეზონები ამოვიდა მეტონიერად გამომშვიდობება გაცილებით ღრმა, ინტელექტუალური აქტია, ვიდრე ყველაზე საფუძვლიანი ტრაქტატი, ადამიანის მოვალეობაზე ადამიანის წინაშე...

გამპაზი არ ხალათი დამრჩა. ერთის ჯიბეში ასანთი ვიპოვე, მეორეში — გოგრის თესლი...

მოირთო ისე, როგორც ირთვებიან ჭკვიანი ქალები, როცა გაღმა ნაპირზე დარჩათ ახალგაზრდობა და წავიდა ბაზარში...

ცვიმს. არავინ შემედრება... ეზოს შორეულ კუთხეში თხილის ფოთოლი ჩამოფრიალდა, მეზობლის ოთახი, გალუმპული ქათამი საყვავილეში იქექება. მაგიდა გრაფინი ნაკლელი ღვინით, ხის გობზე სავსე მტევანით შორის გაკენკილი მტევანი, თხილის სატეხი, მწვანე ლამბაზეზე დამტვრეული თხილი... ისე მწყობრად და მონოტონურად წვიმს, ასე მგონია, სულ შემოდგომა იქნება. თემომ აიარა — წვიმები აბანოში მივდივარ და მოვალო; რახერავით ჩაიარა ცხენის ორთვალამ, ალარ მცემს ღვინის სუნი, რამდენჯერაც შევედრები და გამომშვიდობება გაცილებით ღრმა, ინტელექტუალური აქტია, ვიდრე ყველაზე საფუძვლიანი ტრაქტატი, ადამიანის მოვალეობაზე ადამიანის წინაშე...

ძირის რიხინით ჩამოცვენილი შეშა და ჩამოყრილი, განთავისუფლებული მკლავები...

საში ერთმანეთზე გადაბმული ვარიკით გამაგზავნა ბებომ თავის ძმასთან, ნიკოლოზის ომში ცალთვალ დაკარგულ ნიკო პაპასთან, სიხარულით მივქროდი... ღმერთო, რა შეხვედრი იცოდნენ! — გადმოაგდებდა ცალი თვალიდან ტაბათით ადამიანი! — იხუმრა და მეგირცხლი ნაბიჯით გააგრძელა გზა. მეზონები ამოვიდა მეტონიერად გამომშვიდობება გაცილებით ღრმა, ინტელექტუალური აქტია, ვიდრე ყველაზე საფუძვლიანი ტრაქტატი, ადამიანის მოვალეობაზე ადამიანის წინაშე...

შუადლემდეყველაფერი კარგად იყო, შუადლისას უკვე სახლში მინდოდა ნასვლა. მათი აგურისფილაქნიანი ორი თოახი გამოუთქმელ მწუხარებას ვერ იტევდა. აქეთ ფანჯრის რაფაზე სტენდალის 'წითელი და შავი' — ციხეში გამომწყვდებული უფროსი ვაჟის — კანონიერი ქურდის საყვარელი წიგნი, იქით ვიღაცის ხელით მოკლული უმცროსი ვაჟის გადიდებული... ნემსებივით ამონვერილ ხასხასა მწვანეზე წვერის წვერით ტკაპანით ეცემა. იმ მწვანე და ყველები ყავისფერი ფოთოლიც მოჩანს. თვალი ავარიდე, წიგნი პირჩაღმა დავდე და რაღაც უბლებით ნერა დავიწყებ...

ჯერ მორიდებით მოვითხოვდი, რომ სახლში მინდოდა წასვლა, მერე წავუტირებდი, ბოლოს ავბლავლდებოდი... გადამივანდა ნიკო პაპა ალაზანზე გამართული ბორნით, მიმგვრიდა ბებიაჩემს და მეტყოდდა — შენი ფეხი იქ აღარა ვნახოო!

პატო დეიდა, აბა, ჩქარა! შინსახკომი მოდის! — შემოგვძახა ჩერქეზამ ისე, რომ ჩვენსკენ არც გამოუხედავს და გზა განაგრძო... ბალჩა-ბალჩა გავიქეცი და ლოგინში ჩავწექი, ვითომ ავად ვიყვი, ვითომ ამათგან შუბგავრეტილს (თეთრი დოლბანდით თავშეხეული ნატყვიარიდან სისხლი მოჟონდავდა), დატირების ლირსად არც მე ვთვლიდა, ცრემლი გულ-გვამში ჩამდიოდა... იმ ღამეს დალუქეს ოთახი, რომელშიც მიცვალებული ესვენა. დედაჩემი დააპატიმრეს. მეორე-მესამე დღეს გამოუშვეს (ვიღაც ღვთისნიერი იმათ შორისაც აღმოჩნდა). ნება დაგვრთეს, ლამე, ჩუმად, უკუბოლ დაგვემარხა. ხალიჩაში გავახვიერ და ისე დავმარხეთ...

ნამდერს ბიბლიოთეკაში შევასნარი, მაგიდასთან დაეჯექი თუ არა, ფანჯარაში თოვლის კორიანტელი გამოჩნდა...

ჩემს უკან მოხუცი ახირებული კაცი ზის, ყოველ დღე დადის ბიბლიოთეკაში, უსაქმურობისგან გაფიტული რაღაც ფურცლებს აშრილებს. ნუ აშრიალებს ამ ფურცლებს, ნუ მარვენებს კიდევ უფრო ხაზგასმულად, რა აუტანელი მოვალეობაა გადარჩენა კუველაფრის ფასად.

გვერდით ორმოცდათს გადაცილებული ლოკებშენითლებული მხნე მამაკაცი მიზის — მსუსხავი მზერით გაგრძნობინებს, რომ არ გაცვლის ასაკს და გამოცდილებას არაფერზე; სახლში მინდა! მხოლოდ ხუთი გვერდი დაენერე. ვერაფრით ვერ დაენერ დანარჩენ ხუთს. არადა ხვალ კაკო ბრეგაძე სამსახურში არ შემიშვებს. გავიხურავ ბიბლიოთეკის მძიმე კარს, ჩავჯდები სამარშრუტო ტაქსში, გადავისდი თხუთმეტ კაბიკს, შევალ ეზოში, ავხედავ ფანჯრებს — სინათლე ანთია. ზარს დავრეკავ, კარს დედაჩემი გამიღებს ჩვეული კითხვით — სადა ხარ აქამდე? და შევალ ჩემს სახლში — არალეგალურ სტამბაში. რა სიმბატიურ ჭალარ აქვს ამ ახალგაზრდა ქალს, რას მიყურებს ეს ლევან... არ ვიცი რა გვარი. ჩაიარა მანქანამ, რა აფიქრებინებს მძლოლს, რომ მისი მანქანის ჩახლეჩილი მოტორის გამო სადმე ვინმე კალამს გააცოდვილებს. ქარი ისევ ატრიალებს ფიფქებს ფანჯარაში. ნეტავ ფიფქებს, ნეტავ სახურავს, რომელზედაც გადაქვს და გადმოაქვს ქარს თოვლის კორიანტელი. ნეტავ აკაციის თოვლისკენ გაძაგრულ ფოთლებშერჩენილ ტოტს...

უფრო ლოგიკური 1991:

ხალით დახუნდლული ტროლეიბუსი... სახურავიც კი სავსეა ყურებამდე გაღრეჯილი ახალგაზრდებით. ტროლეიბუსის სახურავზე ყურებამდე გაღრეჯილი უნდა იჯდე — ფიქრი დაბლა, მინაზე...

ახალგაზრდა ქალი პირველ საფეხურზე ფეხის შედგმას ახერხებს. ვიღაც სქელი ქალი ეჯაჯგურება.

— ჩავვარდები, ქალბატონი! — ბრაზობს ახალგაზრდა ქალი.

— აბა მე ჩავვარდე? — ბასუხობს სქელი ქალი...

გამოვიდა სახლიდან. გაუბედავად, წყნარად წამოვიდა ჩემსკენ.

მე ბადრიჯნის ვეტერორელა ძირებს ვევაჯვეურები, მინის სუნი თავბრუს მახვევს...

მოვიდა, მომიახლოვდა: არ გამიბრაზდე, მაგრამ, იცი, რა მოვიფიქრე?

— არა, არ ვიცი! — ცოდვით ზედ ვერ ვუყურებ... მინდა მინა გასკდეს და ორივენი თან ჩაგვიტანოს! ..

უწყინრად გაბრუნდა.

ვეძახი — დედა, რა მოიფიქრე? ..

— რადა, მაგ ბადრიჯნის ადგილზე სიმინდი დავთესოთ.

ნისლებმა წმინდა ბარბარეს ეკლესია ჩვენს ეზომდე ჩამოიტანეს. სველდება სახლის სახურავი და

საბუხრიდან გამოპარული წიგნის წვეთი სახლის კუთხეში იპარება. მდინარემ, რომელსაც ასე კარგად ვიცნობდი, ჩემთვის უცნობი, პატარა, მჩქეფარე ტალღები ჩაატარა...

თოვლი რომ მოვიდოდა, გაისიპებოდა სასრიალო. ვისაც ძველი კალოშები ეცვა, იმის წინ რიგი დგებოდა, ახალს ძველში უცვლიდნენ, ძველი უკეთ სრიალებდა, ძველით ჯვარედინამდე ჩასრიალებოდი.

გეზიზლება არა შენი უმწეობა, არამედ ის ფერუმარილი, რომლითაც ამ უმწეობის დამალვას ცდილობ...

ისტორიის მასწავლებელი — ვისაც ვიცნობ, მათ შორის ის ერთადერთი იყო, ადამიანზე ცუდის თქმა რომ არ შეეძლო (ამის გამო სასუფეველი არ ასცდებოდა).

უკვე ღრმად მოხუცი, მეზობლის ბიჭი შეუჩნდებოდა — მანანა ბებო, 1917-ში რუსეთში რევოლუცია ვინ მოახდინა?

— რა ვიცი, შვილო, ლენინს აბრალებენ!..

კაპეიბა ფოსტალიონად გაამწესეს. ეს ორმაგად საგულისხმო იყო — ერთი, რომ კაპეიკა სამსახურის კაცი გახდა და მეორე, ფოსტალიონის დიდი შავი მაგიური ჩანთა ყოველ სალამო ჩემი და ჩემი ბავშვობის მეგობრის წინ იდო... გადავიკითხავდით ჩემი სოფლის საიდან აღარ გამოგზავნილ წერილებს და უკან ჩავგაბრუნებდით — ერთი სასიყვარულო ბარათი არ შეგვხედრია და შავი მაგიური ჩანთაც ჩვეულებრივ ფოსტალიონის ჩანთად იქცა...

კატო და ელიკო დიმიტრიშვილები გაიგებდნენ, ვიღაცამ ვიღაცას სარწყავი წყალი დაუწყვიტაო და: გაქრეს ეგ, გაქრეს! — ან ერთ იტყოდა ან მეორე. უფრო მძიმე განაჩენი ჯერ არ მომისმენია.

არაფერი ჯობდა მათთან სტუმრობას, მაგრამ მათთან შენც კარგი უნდა ყოფილიყვავი, დილიდან დაღამებამდე, ძილშიც კი... სად შემექლო ამდენი, და ავიკრავდი გუდანაძალდა...

ბავშვობის სახლი ქონება ხომ არ გვინა? სამყაროა, რომლის დაკარგვითაც მწარე სიბერე გელოდება...

დათო: როგორ მიყვარდა კატო ბებოს დატრიალებული სახლ-კარი, აივანზე ხის მძიმე მაგიდა და წყლით სავსე გრაფინი იმ მაგიდის შუაში...

კაპლის ხის უზარმაზარი ხელი ფოთოლი ფხაჭუნით ეხება ქვაფენილს. ჯერ ერთი, მერე მეორე — ცოტა ხანში ქვაფენილი აღარა ჩანს...

მადლობა ღმერთო, რომ ასეთ ძეირადლირებულ საექტაკლს ვესწრები...

ავლა-ჩამოვლაზე თინა მამუნათებდა, რატომ არ მოდიხარ ჩვენთან, ლელვი მწიფოს. გამოვიდა საგულისხმო იყო — ერთი, რომ კაპეიკა სამსახურის კაცი გახდა და მეორე, ფოსტალიონის დიდი შავი მაგიური ჩანთა ჩვეულებრივ ფოსტალიონის ჩანთად იქცა...

ჩემი დეიდაშვილი ვაჟა დიმიტრიშვილი: ბებოს მარილიანი საჭმელი უყვარდა. მარილი მეტი აქვსო, იტყოდა დედაჩემი. — მეტი არა, — საყვარლად დაიმორცხვებდა ბებო.

რამდენიმე არ უნდა უყურო ზამთრის პეიზაჟს შენი ფანჯარიდან (კაკალს ერთადერთი ხმელი ფოთოლი ჩოგანივით ჰერიდა — ქარი ვერაფერს უხერხებს — ტყუილად შევყურებდით — ნეტავ პირველი რძალი არ გაქეშვებინებინა ბიჭისთვის, მეორე უარესი შემხვდაო — შემოშჩიდა).

მერი დეიდაშვილი ვაჟა დიმიტრიშვილი: ბებოს მარილიანი საჭმელი უყვარდა. მარილი მეტი აქვსო, იტყოდა დედაჩემი. — მეტი არა, — საყვარლად დაიმორცხვებდა ბებო.

მამაჩემა როგორ დამივინყა, ნაწყენი იქნება როგორც ამას წესი და რიგი მოითხოვს... ეტყობა შეიტყო, რომ ჩემი კაბა მუხლს ორი თითის დადებაზე ასცდა...

ეპლის უნებლივი სიშიშვლესავით ლამაზია ჩემს ფანჯარასთან ასხლეტილი კაკლის სიშიშვლე.

20 დეკემბერი, ყინვინი დილა.

როცა მწუხარება მწუხარებაზე მეტია, ცხოვრების ახალი ფურცელი თავისით იშლება.

მშვიდობ მიდიხარ საგაზეთო სტენდთან და მეგაზეთეს ძლივს ახსენებ, რომ მისი ათი თეთრი გმართებს...

მეგაზეთე გაოცებული გიყურებს და ცარიელი ფურცელი უკვე აღარ არის ცარიელი ფურცელი...

სადო: იმდენ შენიშვნას მაძლევ, უკვე ჩემ თავს დავდევ...

მოჩანს თოვლით გადათეთერებული სერები, ღობეს ნამომხობილი შავი ქლიავის თოვლებეშ მოყლილი ტოტი, რომ მსხვილი, კუპრივით შავი, ყვითელისკარტა შაშვი დაბლა-დაფრინავს, ერთ-ერთი ღობის გასწრინდა...

ეს ყველაფერი ამ ღობის არც თუ ისე მოკრძალებული საჩუქარია. რამდენმა დღემ გაიარა ისე, რომ ზედაც არ შეგიხედავთ ერთმანეთისთვის.

ახალგაზრდა ნიჭიერი მწერალი წერს: 'როგორც ვიცი, ქალებს ტვინში უჯრედნახევარი უმოძრავებთ საშუალოდ.'

საბედნიეროდ, მე არ ვიცნობ ქალს, რომელიც ასეთ, რბილად რომ ვთქვათ, განცხადებას გააკეთებს მამაკაცებზე. როგორც ჩანს, 'ტვინში უჯრედნახევარი' საკმარისია საამისოდ...

ბალი ჩემია, სხვისია ფოთოლცვენა და ფოთლები...

ტარიელ ჭანტურია

ჩემი სახლის აიგანი სხვის ბალს გადაჟურებებს. გაზაფხულზე აყვავებული ალუბლები პირველა

* * *

სიკეთებმ და ბოროტებაშ მოიპეზრეს ბრძოლა ჩემში, გაიზარდნენ.
დინჯები, სერიოზულები, გადავიდნენ თავიანთი
საზიარო ოთახიდან, დაოჯახდნენ, და ორივემ შეიძინა
სახლი გარაჟით, ეზოში კოხტად გაერეჭილი მწვანე გაზონით,
სადაც ერთად თამაშობენ მათი შეიღები, სიცოცხლეს ჩუქნიან
პეპლებსა და ჭიამაიებს, დაუბდობლად კლავენ ობობებს,
განსაკუთრებით სიამოვნებთ, თუ ერთმანეთს რამეს ავნებენ,
ჯერ არ იციან, რომ ერთხელაც სამუდამოდ გაიყრებიან
და ექნება თითოეულს თავისი სახლი. მე ბოლთას ვცემ ცარიელ სახლში,
ძლივს მაგონდება სიცილი და ცრემლი და სუნი
იმ ბაგშების, დიდი ხნის წინ აქ რომ ცხოვრობდნენ.
ისინი ზოგჯერ მირეკავენ; ანდა თვითონ ვურეკავ ჩემ თავს
მობილურიდან საკაბელო ტელეფონზე, ან პირიქით. უცებ მახსენდება,

რომ ეს მე ვარ, მე თვითონ ვარ
სახლი, რომელიც დაცარიელდა.

არა შემეშინოს მე ბოროტისაგან რამეთუ

შენ ჩემთანა ხარ.

22 ფსალმუნი

შენ რომ არ იყო, რა გაუძლებდა დილის სიმკვეთრეს, რა გამოაღებდა ფანჯარას, რა გახედავდა ამინდს, რა წაუკიდებდა ხმელ ფოთოლს ცეცხლს, რა დაელოდებოდა გაზაფხულს როგორც ხსნას, რა დააბარინებდა ორ ძმას სანივრეს, რა დამათესინებდა საადრეო ქინძს. შენ რომ არ იყო, სად გაქრებოდნენ ზამთრის მუქნაცრისფერი ჩიტები და მათი აუნერელი ჩიქ, ჩიკ...

ამ დილით ციცქნა ყვავილმა ნუშის

პირველად ნახა ჩრდილი თავისი...

მურმან ჯგუბურია

ჩემი საყვარელი პოეტი და ავანტურისტი — მურმან ჯგუბურია წარმოუდგენელ სისულეებს ბეჭდავს ‘ლიტერატურულ საქართველოში’ — რედაქტორს ილია ჭავჭავაძეს უწოდებს (როგორ უბედავს)! პრეზიდენტს — დავით აღმაშენებელს (როგორ უბედავს)!

რაც უნდა იყოს, ჩემთვის, როგორც მკითხველისთვის, მურმან ჯგუბურია საბურზაყანოს ერთადერთი მეციხოვნეა. მისი ნატიფი ლექსების წყალობით მე პირადად ვერავინ წამართმევს ოდიშის ‘უშნო’ მთებსა და ქაფათის ცაცხვებს... რაც შეეხება გამბედაობას, მისი გამბედაობა ახლოსაც ვერ მივა მისივე მსხვერპლთა გამბედაობასთან...

ფიცეპილი სავსე სივრცე ცხენიანმა ორთვალამ გაჭრა. ჩვენ ორნი ვიყავით თოვლით ამოვსებულ სამყაროში.

თანადათა ვშორდებოდთ ერთმანეთს. სადაც არს, თვალს მიეფარებოდა. მოულოდნელად სიმატოვის არამქევყნიური შიში დამეუფლა, თოვლი დაგაგუნდავე და კოფოზე მოშვებულად მჯდარი უცნობისკენ გავისროლე.

გუნდა პირდაპირ კეფაზე მიეფიშვნა.

შემოტრიალდა, კარგა ხანს მიყურა გაოცებით. მერე გაბრუნდა. თან მიდიოდა, თან უკან იყურებოდა.

მე მარჯვენა სიამოვნებით მიბუუოდა. დავურებდი, როგორც ნაპონს და რატომლაც ფიფქით ამოგსებულ ცას დავუქნიე...

თოვლი მოსულა, თოვლი! ისე იფრქვევა, თითქოს ყველაფერი გეპატია!

ტასო, ტასო — ვეძახი — სადღაა შენი ტასო! უკვე ორმოციც გადაუხდიათ! რძალი სადღაა-მეთქი? რძალი დილაადრიან სამუშაოზე გავარდაო...

უმიზებო მწეხარება შენი არსებობის წარმმართველი — რითაც ღმერთმა გამოგარჩია...

როცა მარტონი ხართ ყველანი — შენ, კედლები, ჭერი, იატაკი, ფანჯარა საზარელი პეიზაჟით, როცა არავინ გინდა, როცა იმასაც კი ვერ ვარაუდობ, ვისი ზარი შეიძლება იყოს ტელეფონზე, როცა ტელევიზორში რეკლამაა, ცხადად გრძნობ, როგორ ჩაივლი ოთხ სართულს, როგორ წახვალ ფრთხილი ნაბიჯით მრავალსართულიანი კორპუსით თითქმის გადაფარულ კოხტა ეკლესიისკენ.

სანდახან ვიღაც მეტყვის — გახსოვს, შენ რომ მითხარი: მიკვირს და მიხარია, რომ ოდესლაც რაღაცას ვამბობდი...

ეს თავაშვებულებას არა აქვს საზღვარი, თორემ თავისუფლება ცხრაკლიტულია: არა იპარო, არა იმრუშო, არა ცილი დასწამო. ოღონდ ეს ცხრაკლიტული ხელის ოდნავ მიკარებაზე იღება — შეგიძლია იპარო, შეგიძლია იმრუშო, შეგიძლია ცილი დასწამო.

ეპლა ქუჩა გადაჭრა წინსაფარზე ხელისწმენდით, ნაბიჯზე ეტყობა, დარდი რა არის, არ იცის... ეტყობა, სწორედ წინსაფარზე ხელისწმენდით და მოუცლელობით გააქარწყლა ერთხელ და სამუდამოდ...

ჩაღალდზე რისი გადატანაც შეუძლებელია, სწორედ ის ხდის ცხოვრებას იღუმალს და საინტერესოს.

დედა იცინის. ‘ასეთი იყავი პატარა?’ — ეკითხება პატარა ბიჭი...

მარინა ბიჭი გადახდილ საბანს ეძებდა, როცა საბანისკენ დახრილ დედას წააწყდა. ხელები შემოხვია და ბედნიერმა დაიძინა...

გაზაფხულის წიგნით ამტკერებულ გზაზე სკოლიდან გამოპარული პატარა შუბლშეკრული გოგო იდგა და ჯარში წასულ ძმას ელოდა.

მარტოა ზამთრის ზღვა. მხოლოდ საკუთარ თაეს დასტირიან ასე...

მოულოდნელად სინათლე ჩაქრა. სანთლის შუქზე გულსავსედ დგანან საგნები.

დღეს იცი წილის შევსრულდი. სახლის პატრონმა, ოპერის გრიმიორმა — ნინა პეტროვამ — იმდენი იცეკვა, სული ამოხადა სტუმრად მოსულ ბიჭებს. ჩემზე თქვა, ცოტა გალამაზდა, მაგრამ ფანჯარაში ყუვარს ყურება და გათხოვება გაუჭირდებაო.

ძალიან მრცვენოდა ცარიელი თევზებისა და ნინა პეტროვას გამო და მარტო დარჩენა მომინდა ჩემს იცი წლის თავთან.

დეკემბრის თბილი სალამო. ჩიტების გუნდი რამდენჯერმე ბრაგვანით შეასკდა ფანჯარას — ცუდი ამბავი ხომ არ მომიტანეს?

როგორ ‘დავბრძენდი’: პრობლემებზე ფიქრი ისე გადადის, როგორც წყაროს წყალი ჩათვლემილ ქვებზე.

შენ ხომ ის არა ხარ, რასაც ლაპარაკობ. შენ ისა ხარ, რასაც ჩუმდები.

ნავიკითხე წიგნი — გულწრფელად დაწერილი არაგულწრფელობა.

მიყვარს გადაწყვეტილების მიღება, როგორც აგურზე მტკიცედ დადებული აგური საკუთარი დილეგის ასაშენებლად...

ირაბლი: მნიდოდა ყველა მყვარებოდა. რაც ამ საქმეში ხელს მიშლიდა, ყველაფერი ჭკუდან მშლიდა.

— წითელი მიხავის თესლი არ გინდათ, გოგო? — ეკითხებოდა ამვლელ-ჩამომვლელს.

უღიძლებენ, მაგრამ წითელი მიხავის თესლისთვის არავის ეცალა.

ბოლოს გამოვენთებოდი.

— გიში! — იტყოდა და მოწმენდილი სახით გახედავდა გზას.

პატარა, გუშინ ხომ მთვარიანი ღამე იყო. გამოვედი გარეთ და ფეხი რაღაც რბილს დავადგი, თან მეჩვლიტა. დავიხედე და, ზღარბი ორი პატარა ზღარბით!

ვედი გოგოს გოგოს — გამოდი, გამოდი, რა გაჩერენო-მეთქი!

ჩემს ხმაზე პატარები ცუხცუხით გაიქცნენ, დიდი დინჯად მიჰყვა. ბაღჩის ბოლოში ღრმა სოროში უცხოვრიათ...

ღილებივით თვალები უცნაურად უბრნებინავს უსიხარულოდ გადაგებულ მეზობლის ქალს...

სიმართლე რომ აუტანელი ხდება — სიზუსტე და ამომწურავობა, ფაქტები და კომენტარები — მაშინ საითკენლაც უნდა გაუხვიონ.

უკვე თოხმოცდასამი წელია. წარსული ჭრილობებს, როგორც დაჯერებილი ძალი, ისე ილოკავს.

‘დ ჰ ა მ ა პ ა დ ი დ ა ნ’*

‘მან შეურაცხმყო, გამარტყა, მძლია, გამძარცვა’. მასში, ვინც გამუდმებით ასე ფიქრობს, სიძულვილი არ წყდება.

*

‘მან შეურაცხმყო, გამარტყა, მძლია, გამძარცვა’. მასში, ვინც გამუდმებით არ ფიქრობს ასე, სიძულვილი წყდება.

*

ამ ქვეწად სძულვილი არასოდეს არ წყდება სიძულვილით, არამედ მხოლოდ სიძულვილის უქონლობით წყდება. ესაა დასაბამიერი დჰამმა.’**

*

ამ სოფლადაც ხარობს იგი და იმ სოფლადაც; კეთილი საქმის მოქმედი ორსავე სოფლად ხარობს, თავისი კეთილი საქმის შემყურე.

*

დარბაისელი თავქარიანთა შორის და მარად ფხიზელი მძინარეთა შორის, ბრძნი ბედაურივით უკან იტოვებს ჯაგლაგებს.

*

მთრთოლავ, მოცახცახე, ადვილად მოწყვლად და ძნელად დასაურვებელ აზრს ბრძნი ისე მიმართავს, როგორც მოისარი — ისარს.

*

თავისი სტიქიდან ამოვარდნილი და ხმელზე მოფართხალე თევზივით ცახცა-ხებს ეს აზრი: იქნებ როგორმე დააღწიოს თავი მარას** ტყვეობას.

*

დაე, ბრძნი დარაჯად უდგეს თავის აზრს, ძნელად საწვდომს და უკოდურე-სად დახვეწილს, ყველი ფეხის ნაბიჯზე რომ ბორიყობს. ნადარაჯვი აზრი ბედნიერებისკენ მიგვიძლევის.

*

უხრწნელი, მშვიდი, სიკეთისა თუ ბოროტების უარმყოფელი აზრისთვის უცხოა შეში.

*

ბრიყვება მთელი სიცოცხლე ბრძნე-კაცის გვერდითაც რომ გაატაროს, მის-თვის ისევე უცხო იქნება დამამა, როგორც კოვზისთვის — კერძს გემო.

*

ვიდრე ბოროტება არ მომწიფებულა, ბრიყვს ტყბილი ერვენება იგი, ხოლო როდესაც მომწიფება, მწუხარებას და ურვას ეძლევა.

*

როგორც სალ კლდეს ძვრას ვერ უზამს ქარი, ბრძნი ურყევია ხოტბასა და გმობას შორის.

*

კაცთა შორის მხოლოდ ცოტანი თუ აღწევენ გაღმა ნაპირს, დანარჩენები კი ფუჭად ფუსფუსებენ გამოლმა.

*

მისი გრძნობები მშვიდია მეტლის მიერ დაურვებული ცხენებივით. მან ზურგი აქცია სიამაყეს და ჩაიხშო ყველა სურვილი. მას დმერთები კი უცქენში.

*

ერთი ტაეპი, სიმშვიდეს რომ ანიჭებს სულს, ფუჭი სიტყვებით შეთხზულ ათას ლექსზე უმჯობესია.

*

თუ ერთმა კაცმა ბრძოლაში სძლია ათას კაცს, მეორემ კი — მხოლოდ თავის თავს, სწორედ ეს უკანასკნელია უდიადესი მძლეველი.

*

თუ ვინმე თვიდან თვემდე ასი წლის მანძილზე ათასგზის ასრულებს მსხვერლშენირვას, ხოლო მეორე, თუნდაც წამით, პატივს მიაგებს თავისი თავის სრულმყოფს, სწორედ ეს მსახურებაა ასწლიან მსხვერპლშენირვაზე უზენაესი.

*

გაბრძნობილისა და თვითჩალ-რმავებულის სიცოცხლის ერთი დღე სჯობს უმეცრისა და აღვირასნილის ასწლიან არსებობას.

*

დაე, ისწრაფოს კეთილი საქმის აღსრულებად; დაე, არიდოს ბოროტებას თავისი თავი. რადგანაც ის, ვინც არ ესწრაფის სიკეთის აღსრულებას, კმაყოფილებას ჰპოვებს ბოროტში.

*

როგორც მწყემსი სახრით მიდენის ჯოგს საძოვრისკენ, ისე სიკედილი მიერებება ცოცხალ არსებებს სიკედილისაკენ.

*

ძვლებითა ნაშენი ეს ციხე-სიმაგრე, სისხლითა და ხორცით ნალესი; სიცრუე და ორპირობა, სიბერე და სიკედილი ჩაკირულია მის კედლებში.

*

ადვილია უკეთური და მავნე საქმის კეთიბა, კეთილისა და სასარგებლოსი კი — უკიდურესად ძნელი.

*

ვინც ისე უყურებს სამყაროს, როგორც ბუშტსა თუ მირაჟს, უხილავია სიკედილის მეუფისათვის.

*

ბრმა ეს სამყარო, სადაც ცოტა თუ ხედავს ნათლად მასის ტყევებიდან თავდალნებული ჩიტივით, მხოლოდ ცოტანი თუ აღწევენ ზეცას.

*

ო, რარიგ ბედნიერნი ვართ არას-ნეული სნეულთა შორის; სნეულთა შორის ვცხოვრობთ ჩვენ — არასნეული.

*

არ არის ცეცხლი, ვნებაზე უფრო მწველი; არ არის უბედურება, სიძულვილზე უფრო დიდი; არ არის საშინელება სხეულზე უმეტესი; არ არის ბედნიერება სიმშვიდის ტოლი.

*

ო, რარიგ ბედნიერნი ვართ, უპოვარი მორქმულთა შორის; ჩვენ ვსაზრდოობთ სიხარულით, როგორც სხივმფინარი.

*

სურვილისაგან იბადება მწუხარება; მისგანვე იბადება შიშიც. მისთვის, ვინც თავი დააღწია მიდრეკილებას, აღარც მწუხარებაა და აღარც შიში.

*

მიდრეკილებისაგან იბადება მწუხარება; მისგანვე იბადება შიშიც. მისთვის, ვინც თავი დააღწია მიდრეკილებას, აღარც მწუხარებაა და აღარც შიში.

*

მას, ვინც იოკებს რისხვას, როგორც გზიდან გადასულ ეტლს, მე ვუნდებ მეტლებს. დანარჩენებებს კი ტყუილად უჭირავთ სადაც.

*

დაე, ურისხველობით იძლიოს რისხვა, სიუხვით — სიძუნე, სიკეთით — უკეთუ-რობა, სიმართლით — სიცრუე.

*

არ ყოფილა, არ არის და არც იქნება ადამიანი, მხოლოდ გმობის ლირის რიგი იყოს, ანდა მხოლოდ ქება-დიდების.

*

აი, შენი სიცოცხლეც მიუახლოვდა დასასრულს; მიიხელე იმას. შენ კი სახლიც არა გაქვს, არც თან წასატანი საგზალი.

*

ცხოვრება ადვილია მისთვის, ვინც თავხედია, ყვავივით ლირფი, ურცხვი, უტვინო, შლეგი, გახრწნილი.

*

მაგრამ ცხოვრება მძიმეა მისთვის, ვინც ფაქიზია, თავმდაბალი, გამჭრასი, თავაზიანი; ვისი სიცოცხლეც წმინდა.

*

ცხოვრება დავილია მისთვის, ვინც თავხედია, ყვავივით ლირფი, ურცხვი, უტვინო, შლეგი, გახრწნილი.

*

მაგრამ ცხოვრება მძიმეა მისთვის, ვინც ფაქიზია, თავმდაბალი, გამჭრასი, თავაზიანი; ვისი სიცოცხლეც წმინდა.

*

გაუტამას მონაფენი მარად ფხი-ზელნი არიან. მათი აზრი დღისით თუ აღმით ბუდას მიელტვის.

*

კეთილი შორითვე ბრწყინავენ, როგორც პიმალაის მთები. ბოროტნი კი ახლოდანაც არ ჩანან, როგორც არ ჩანან.

*

დიდი ხალ კლდეს მესხებას მას მარად და მოუკარებას ასათანადოდა.

*

დროის ხელიდან გამშვები მწუხარებას და ურვას ეძლევა, ჯოჯოხეთში გამშესტული და განინირული.

*

მოთვინიერებულ ჯორებს, კეთილშობილ სინდისიურ ცხენებს და ვეება სპილოებს რა სჯობს? მაგრამ მათზე უკეთესია, ვინც თვითონვე მოთვინიერება თავისი თავი. რადგანაც ამ ცხოველებით ვერ შეაღწევ მიუდგომელ ქვეყანაში, სადაც შეაღწევ დამასი, თვითშეზღუდული და თვითონვრთით რომ მოუთვინიერება თავი.

*

სიქველე სასიამოვნოა თვითი სიბერე ემდე; სასიამოვნოა ურყევი რწმენა; სასიამოვნოა სიბრძნი სიბრძნის მიწურება; სასიამოვნოა ბოროტებისგან თავშეკერება.

*

ვინც ამ ქვეყნაც ძლიერებულ ჯორებს უკეთური და მავნე საქმის კეთილი და სასარგებლოსი კი — უკიდურესად ძნელი.

*

ერთის მხრივ ძალიან გწყდება გული, მეორეს მხრივ, მიდიხარ შენთვის, არავინ მიგაცილებს სიგარეტის ბოლებით, არ გესალმება ხელის აწევით, არ ულიშით ერთმანეთს დამარცხებული ჯარისკაცებივით...

ვინა ხარ და რა გინდა? — ამ ერთდროულად უმარტივესსა და ურთულეს კითხვას პასუხი ექნება, მაგრამ ალბათ ძალიან მოსაწყენი.

მარია ისეთი უთქმელი იყო, ისეთი მორიდებული... ერთხელ სკოლაში მიდიოდა (ბოლოს თივში ასწავლიდა გეოგრაფიას), გადაუდგა ქოჩორაანთ მარუსა. აბა, ქოჩორაანთ მარუსას ვინ დაეხსნებოდა. მოერიდა, ეთქვა, სკოლაში მაგვიანდებაო — ინერვიულა, გადავარდა და გული წაუვიდა...

შედევილალე სიძლიერით, მე მინდა დედა...

ლია სტურუა

ჩავალ, დამხვდება ლოდით დაღლილი ჩვენი ულამაზესი ეზო-კარი... (ლოდინით დაღლილი წავიდა იმ ქვეყნად დედაჩემიც — არც ერთმა იცოდა, რომ ჩემს იმედზე ყოფნა არ შეიძლებოდა და არც მეორემ იცის. ერთსაც ყოჩალი ვეგონე და მეორესაც ყოჩალი ვეგონივარ).

ვალებ კარს, დედაჩემის სურათისკენ არც ვიხედები, ისე ვიღებ ქაშანურის ქილიდან გამხმარ ყვავილებს...

თუ მწერალი ხარ, უკვე სხვა ხარ, ნურავინ ეცდება თავი გაგიტოლოს — სადღაც რომელილაც თაროზე წიგნი დევს — გადმოიღებ, გადაშლი და რაც წერია და როგორც წერია, ყველაფერი სწორედ ისეა...

ჩამოიძაბა წვიმა, წვიმით გამოსყიდული დრო შენ გეკუთვნის...

მეუზი სერაფიმეს მიერ მეუფე ისაიასთვის გაგზავნილი წერილიდან: გაზაფხულდა მეუფე, მოგიფრინდნენ ბულბულები?

არაფერს შევცვლიდო...

პრესაში ამოკითხული მართებული აზრი

შური აქ უადგილოა.

ყველაფერს შევცვლიდი — არ ვიტყოდი არც ერთ სიტყვას, რომელიც მითქვამს (განსაკუთრებით გულწრფელს, სიხარულის ან მწუხარების გამომხატველს), არ გადავდგამდი არც ერთ წაბიჯს, რომელიც გადამიდგამს. თუმც როგორ არა — ძველებურად ჩავივლიდი ძველ რუსთაველზე, მაღალი ვიტრინებისკენ თვალს გავაპარებდი და საკუთარი გარეგნობით ხან კამაყოფილი, ხან უქმაყოფილო გამომცემლობა ‘მერანის’ მძიმე კარის შეღებას შევცვდებოდი.

დილაობით თავს ვერ აარიდებ, პირდაპირ კატის ჯამისკენ უნდა წახვიდე. წინ ფისო მირბის, მიიქნევს უკანა წანილს. ადგილს შეუცვლი და ისე გაიმრავალფეროვნებ ცხოვრებას...

რა ყველაფერი ამკობს ადამიანს — სიტყვა, საქმე, ტანჯვა, სიხარული, სიკვდილი — თუ ადამიანია. თუ მოახერხა მეორედ დაბადება...

დაზამთრდა. წლინადის არც ერთ დროს არ ხვდება ადამიანი ასეთი საყვარელი თვინიერებით. გაფაციცებით აღარ მიდი-მოდიან გზებზე, საშიშ ხებს აღარ გამოსცემენ, მხოლოდ რუბის მოგუდული ხმები ისმის.

დაზამთრდა... ეს აბსოლუტური გადაწყვეტილებაა და სწორედ ამის განცდა განიჭებს წარმოუდგენელ ბედნიერებას, რომელსაც ვერც ვერავინ მოგცემს და ვერც ვერავინ წაგარომეეს...

— ამ კაცს დიდებულება არ აკლია! — წარმოსთქვა ფრანგმა კომუნისტმა და დე გოლის დაუძინებელმა მტერმა, როცა დე გოლმა თავისი მოულოდნელი გადადგომის შესახებ გამოაცხადა და მცირე პაუზის შემდეგ გარინდებული დარბაზი დატოვა. მის დიდებულებას გვირგვინად ოჯახი ედგა — ‘ჩემი სახლი’ — აღმოხდებოდა ხოლმე, როცა პარიზის გარეუბანში მთებით გარშემორტყმულ თავის სახლს მიუახლოვდებოდა (ეზოში შეულის ხელით ყვავილებით ამოქარგული საფრანგეთის დროშა ხვდებოდა). ‘მას არ ეცალა არც მტრებისთვის, არც მეგობრებისთვის — მისი მეგობარი საფრანგეთი იყო’.

თამარ გულმაგარაშვილი — ამოვიკითხე ვაკის სასაფლაოზე საფლავის ქვაზე. მომეჩენა, რომ არსებობს მსგავსება წიგნის ყდასა და საფლავის ქვას შორის...

ცივი ქარი რომ ამოვარდება, ფოთოლს ჭრელი თავშალივით რომ გაშლის, ჩვენ უთქმელად გვეცოდინება, რომ ფოთოლცვენა, ტყვიასავით ჩამოწეული ცა და სიცივე ჩვენია, ჩვენი...

მხიარული დილა, წითელი მიხაკები და დედის ხელს ჩაბლაუჭებული ჩანთიანი გოგონა — ყველაზე მოსაწყენი რამ, რაც კი შეიძლება დაინახო პირველ სექტემბერს.

სასაფლაოზე:

ჩვენსა და მათ შორის თმასავით წმინდა, ქარისაგან გადავარცხნილი ოქროსფერი ბალაზი ირწევა...

ერთმანეთს ვეჯიბრებოდით, ვინ მალე გაათავებდა პურჩაყრილ რძეს — პურს შეეძლო რძე მოეპარა.

მეზოპლის ქალიუცბად დაბერდა, მაგრამ მთავარი ეს არ არის, მთავარია, რომ შესიებულ კოჭებს აპრეშუმის სარაფნით იფარავს და გაფაციცებით ყიდულობს ალუბალ...

შენი შემჭკარი ყურძენი მახსოვს და გათხრილ სამარესთან ოდნავ აწეული ტუჩის კუთხე...

ადამიანი ისეთი დიდი ვინმეა, შეუძლია შორს, შუა გზაზე სამუდამოდ დაგდებული ტრაქტორი დაინახოს ისე, რომ არაფერი გაიფიქროს...

სადოს

ისე იძინებ, თითქოს ნესვის სურნელოვან ღრმულში მიძვრები...

სირცებილი გაკლავს... ისე იცხოვრე, თითქოს პურის ნატეხისთვის გაწვდილი ხელი ჰაერში დაგრჩა.

სათამაშო თავზი

არ მოვსწრებივარ იმ ოთხს, სადაც მხოლოდ ტახტები გედგათ, სადაც ერთხელ ნუშო ბებომ კედელზე გაკრული ხალიჩის ქვეშ ღუმელის საჩხრევით თაგვი დაიჭირა, კუდით ეჭირა და გეძახდათ — მოდით, მოდით, რა გაჩვენოთ! და თქვენც კისრისტებით გარბოდით.

ქველი თბილისი

— ქალები იღრჩება, ქალები! — ნახევარი თბილისი მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მიაწყდა...

პარბა ხანს ვემშვიდობებოდით ერთმანეთს. გზა გავაგრძელებ და ვიგრძენი ამ საუბრის არსურვილისა და სიყალბის საძაგელი გემო.

პარბა ის არის, რომ შესვლისასაც და გამოსვლისასაც ღელვის პატარა ლამაზი ნერგები გხვდება. ახლა ქინძისა და ოხრახუშის ყინვაგადავლილი ძირები?!.

სხვენი სითბოსთვის წმინდა ლამი ეყარა, ზამთრობით ჩამოტანილ სინაფსა და მუავე ვაშლს კვამლის სუნი დაკურავდა...

გამახსენდა ტყეთა კენწეროები (რომელი მხრის? ასეთი ტყე მე არ მინახავს). ვიღაც არბოდა კიბეზე, ტანსაცმლის საკიდზე ლამაზი ყვავილებიანი კაბა ეკიდა...

ის შეზარება ზამთრის მესამე თვესთან შეხვედრა, როგორც მეზობლის ნირშეუცვლელად მდგარი სახლისთვის თვალის შევლება...

მიკვირს, როგორ მოვხვდი ამ ღვთავებრივ სიქათქათეში. გუგუნებს გამათბობელი. ისლა დამრჩენი, შიშით, მაგრამ მაინც გავაპარო თვალი საწერი მაგიდის უჯრისკენ — ‘მივალ, ვნახავ, იმ უჯრაში იქნებ ძვირფასი რამ დამიტოვა ღმერტმა’.

თუ ვინმე გზად შემხვედრი გიღიმის, იცი, დედაშენი უნდა ახსენოს.

ეს ღიმილი დაგიტოვა სახსოვრად და პატარა, თავის ღლებში შემსინების ცარიელი საფულე...

სოსო პაიშაძის გახსენება

სოსო პაიშაძეს სალმითაც კი არ ვიცხოდდი. ამის მიუხედავად, მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, რომ კარგი ადამიანი უნდა ყოფილიყო. ყოველთვის საგულისხმო იყო ჩემთვის, როცა რუსთაველის პროსპექტზე (ის უურნალ ‘მნათობში’ მუშაობდა, მე გამომცემლობა — ‘მერანში’) თვალს მოვკრავდი.

ერთხელ წიგნების მაღაზიაში შემხვდა. პიკასოს რეპროდუქციას (‘დედაშვილობა’) ყიდულობდა. კარგი რეპროდუქცია იყო და მეც ვიყიდე. ჯერ ის გავიდა მაღაზიაში, მერე — მე.

306 იცის, როცა აღარ იქნები, ვის გაახსენდები — ვისაც სალმითაც არ იცნობდი, თუ ვისაც სალმითაც იცნობდი და არა მარტო...

სულ მიკირს, რატომ არ გარბიან ქალაქიდან, რატომ არ ყიდულობენ პანია სახლს, თავზე წამომდგარი ბაზილიკითა და ეზოში კოხტად აჭრილი ასკილის ბუჩქით... ერთმანეთისა მაინც არ ეშინიათ?

კინოსტუდიაში გავიცანით ერთმანეთი. რედაქტორების ოთახში შთამბეჭდავი გარევნობის ორმოციოდე წლის მამაკაცი შემოვიდა. დიდჯიბებიანი, მსხვილადნაქსოვი შავი ჯემპრე ეცვა, შუა ოთაში იდგა და, აღარ შახსოვს ვის, დამახასიათებელი ხმის ტემბრით ელაპარაკებოდა.

ჩემსა და თეა გაბუნიასკენ ზურგით იდგა.

— ვინ არის? — წავჩურჩულე.

ვაჟა გიგაშვილიონ — მაბასუხა.

ძალიან გამიხარდა, რომ მწერალი, რომლის შემოქმედებაც ჩემთვის ძალიან ძვირფასი იყო, მართალია ზურგით, მაგრამ ჩემს წინ იდგა.

თეამ მოულოდნელად ხმამალა გამოაცხადა: ვაჟა, აი, გაიცანი შენი მკითხველი!

ვაჟას არც შემოუხედავს ჩემთვის, ისე გავიდა ოთახიდან...

მოხდა ისე, რომ სხვადასხვა დროს ერთად ვმუშაობდით, ჯერ რეზო თაბუკაშვილის მწერალთა შემოქმედებით გაერთიანებაში, მერე გაზეთ 'მამულში'.

არც ერთს არ გაგვხსენებია ის დღე, კინოსტუდიაში პირველად რომ შეეხვდით ერთმანეთს.

ახლა ჩვენ უკვე დიდი ხნის მეგობრები ვართ.

ცოტა ხნის წინ ვაჟამ ფალკე წიგნად გამოცემული 'ნადირობა ჩინტაშში' გამომიგზავნა ვრცელი წარწერით:

‘ჩემო ლეილა!

...იცი რა გამახსენდა?.. ჩვენ რომ პირველად გავიცანით ერთმანეთი კინოსტუდიაში და შენ რომ თქვი: ამ 'ჩინტაშში' ავტორი სულ სხვანაირად მყავდა წარმოდგენილიო...’

(მეორე აბზაცი პირადად მე მეხება და სამწუხაროდ მხოლოდ სევდიან ლიმილსა მგვრის)...

როგორც ჩანს, ყველაფერი დაუნახავს, ყველაფერი გაუგია...

კიდევ ერთხელ გადავიკითხე ეს განსაცვიფრებელი მოთხრობა. მომეჩვენა, თითქოს მკითხველს კი არ უყვება გასაოცარ ამბებს უბრალოდ, ლრმად, ფერადოვნად, არამედ — მისთვის ძვირფას ადამიანს. ამიტომ არ ცდილობს გააოცოს, თავი მოაწონოს. მერე რა, რომ ზურგით დგას...

ნაყავიჩოზე ახლა ნისლია...

ბაადურ ბალარჯიშვილი

ბაადურ ბალარჯიშვილმა თავისი ნახატი მაჩუქა.

ვაჟას ისე მოეწონა ნახატი, 'აღშფოთდა' — რო მენახა, ჩემთვის დავიტოვებდიო...

რა კარგია, რომ ვერ ნახა! ახლაც ჩემს ოთახს ამშვენებს და თითქმის ყოველ დღე მახსენებს ჩვენი თაობის უნიჭიერეს და ბავშვივით წმინდა გულის პოეტს — ბაადურ ბალარჯიშვილს...

თიმორმ ჭიქა გამოცალა და მოწყვეტით დადგა შაგიდაზე: ეგე შენი წნევა!..